პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტკ.
დეპ. საბ.
მათის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 138 სამშაბათი 19 ივნისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 75,000 მან.

№ 138

დღიური

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

ბულგარეთის ახალ მთავრობაში შედიან ქვეყნის ანტიკომუნისტური პარტიის წარმომადგენელნი; მათ შორის მენშევიკებიც.

ბულგარეთის ახალმა მთავრობამ [illegible]

ახლად განთავისუფლებულ დეპუტატ კომუნისტს გელლენს გერმანიის რეიხსტაგი (პარლამენტი) ოვაციებით შეხვდა.

რურის ოლქში საოკუპაციო ჯარი განაგრძობს რკინის გზის ახალ ლიანდაგის დაკავებას და მცხოვრებთა გადასახლებას.

საბჭოთა რუსეთში პურის სესხს დიდი აღფრთოვანებით ეკიდებიან.

ჩვენი პრესა

ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა საზოგადოთ და კერძოთ ჩვენ სინამდვილეში იმდენათ დიდია, ხოლო სუბიექტიური და ობიექტიური დაბრკოლებები მისი განვითარების იმდენათ დიდი, რომ ჩვენი პრესის მტკივნეული ადგილების შეხება, მისი ნაკლის აღნუსხვა, არასოდეს არ იქნება ზედმეტი, პირიქით აუცილებელია, სანამ ჩვენ არ მივაღწევია მაქსიმუმი ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში. ეს თემა ახალი არ არის ჩვენთვის. მასზე ბევრი დაწერილა, კიდევ მეტიც თქმულა, მაგრამ საქმე ფაქტიურათ ჯერ შორს ვერ წასულა. ამიტომ ამიერ-კავკასიის გაზეთების რედაქტორების თათბირი, რომელიც გაიხსნება ამ დღეებში საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირთან პარალელურათ, უეჭველათ დროულია.

საკითხები ჩვენი გაზეთების გაუმჯობესების, მათი მეურნეობის გაძლიერების, მათი გავრცელების—აი უმთავრესი მომენტები, რომლებზეც შეჩერდება თათბირი და გამოიტანს სათანადო გადაწყვეტილებებს.

საკითხი პრესის იდეიურათ გაუმჯობესების შესახებ, რამდენადაც ჩვენ ვლაპარაკობთ დღევანდელ დღეზე და იმ ძალებზე, რომლებიც პარტიის განკარგულებაში იმყოფებიან—ეს საკითხი შეეხება უმთავრესათ ამ ძალების მიზანშეწონილათ განაწილებისა და მათი მაქსიმალურათ გამოყენების საქმეს. დღევანდელ მომენტში, როდესაც ჩვენ რთულ აღმშენებლობითი მუშაობას ვეწევით და წარსული წლების მოუსვენარი ცხოვრების ლოზუნგების, ეფემერული აგიტაციის ხანას გავცილდით, ყველაზე ნაკლებ შეგვიძლია გამოვავსოთ გაზეთის ფურცლები სხვა-და-სხვა „სიტყვიერებით“. საქმიანი წერილები, რომლებიც იკვებება მიმდინარე აღმშენებლობის უშუალო მოთხოვნილებებით და საჭიროებით, ამ მუშაობის ნაკლების აღნიშვნა, დადებითი მხარეების და მიღწევათა სამაგალითოდ გამოფენა ყველა მუშაკებისათვის და საქმიანი პერსპექტივების დასახვა—აი რა მოეთხოვება პრესას. ცხადია ამ შემთხვევაში, რომ შეუძლებელია რაიმე უნივერსალიზმის მიღწევა ერთი თუ ორი ამხანაგისთვის და ამიტომ ბუნებრივია, რომ აღმშენებლობის ყველა დარგში ჩაბმულ ამხანაგებს აწევს მოვალეობა თავისი წვლილი შეიტანონ ამ მხრივ ჩვენი პრესის მუშაობაში. ჩვენ საზოგადოთ სუსტი ვართ კულტურულ ძალებით, ახალი საზოგადოებრიობის შექმნა მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ მუშაკებს, ვინემ ჩვენ დრო და შეძლება გვქონდა მათი შექმნის, ვინემ ჩვენ დღეს ისინი მოგვეპოვებიან. თავის თავათ ცხადია, რომ ბეჭდვითი საქმეში ჩაბმული ძალების უკეთესათ განაწილება და აღმშენებლობის სხვა დარგებში მომუშავე ლიტერატორების უკეთესათ გამოყენება—ეს საკითხი მოითხოვს დაბოლოს გადაწყვეტას ყველა რესპუბლიკებში და მათ შორის ჩვენშიც. თათბირის სამზადისისთვის მოწვეულ წინასწარ კრებებზე ამ გარემოებას მიექცა სათანადო ყურადღება და ეჭვი არ არის ამაზე მომავალი თათბირიც იტყვის თავის გადამჭრელ სიტყვას.

მაგრამ, როგორიც არც უნდა იყოს გაზეთის შინაარსი—ეს არის მხოლოდ ერთი მხარე. როგორია მატერიალური მხარე ჩვენი პერიოდული გამოცემების? რომ გაზეთი, გარეშე ფინანსიური დახმარებას მოკლებული, თავისი საკუთარი რესურსებით ვერ იარსებებს დღევანდელ პირობებში—ეს ცხადია. გაკეთდა თუ არა ყოველიფერი, რომ ჩვენ საშუალება გვქონდეს მინიმუმამდი დავიყვანოთ ჩვენი დეფიციტი? არა. საკითხი ბეჭდვის და ქაღალდის კვლავ წამოჭრილია ჩვენ წინაშე. საჭიროა დაბოლოს მათი მოწესრიგება. თათბირი ხაზ-გასმით აღნიშნავს ამის აუცილებლობას და მიუთითებს კონკრეტულ ზომებზე, რომლებიც უნდა გატარებულ იქნან სულ ახლო-მომავალში.

გაზეთების გავრცელების საქმე, საექსპედიციო აპარატის გაერთიანება და ცენტრალიზაცია, ფოსტით და რკინის გზით გაზეთების ტრანსპორტის მოწესრიგება, გადასაზიდავი ტარიფის შემცირება—აი დაბოლოს ის ზომები, რომლებიც ჩვენ უნდა გავატაროთ ამ სფეროში. და ჩვენ გვწამს, რომ მომავალი თათბირი ამიერ-კავკასიის პარტ-საბჭოთა გაზეთების პასუხისმგებელ ხელმძღვანელების გამონახავს დაბოლოს საშვალებას ჩვენი პრესის გაუმჯობესების, მატერიალურად გაძლიერებისა და მისი უკეთესად გავრცელების საქმის მისაღწევად.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

ჩვენი დამოკიდებულება გლეხობასთან.

საკითხი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მჭიდროდ დაკავშირებულია გლეხთან პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხთან, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის დიქტატურის დროს. ამ საკითხის სწორე გადაჭრაზეა დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლების შემდეგი განმტკიცება. აქედან ცხადია, რომ მას უნდა შევეხოთ განსაკუთრებულის სიფრთხილით. გადასახადს საფუძვლად უნდა დაედოს არა მარტო ხაზინის ინტერესები, არამედ თვით გლეხობისა და სასოფლო მეურნეობის ინტერესებიც.

სახელმწიფო გადასახადის გამღებმა თვითეულმა გლეხმა უნდა იცოდეს, თუ რისთვის იხდის ის ამ გადასახადს, რამდენს იღებს მისგან სახელმწიფო წლის განმავლობაში და მოსავლის რამდენი ნაწილი შეუძლია მოიხმაროს მან თავის პირადი საჭიროებისათვის.

უამისოდ მას ხალისი არ ექნება სახნავის გადიდებისა და მეურნეობის გაუმჯობესებისა.

ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა ისე უნდა იყოს აგებული, რომ გლეხობის უმრავლესობას მტკიცედ ესმოდეს მის კუთვნილ გადასახადის გასტუმრების საჭიროება იმ ხელისუფლების სახელმწიფოებრივ აპარატის შესანახად, რომელიც შეუძლებელია არ იყოს დაინტერესებული სასოფლო მეურნეობისთვის ხელისშეწყობაში.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის რომ ერთნაირად ძვირფასია როგორც მუშებისა, ისე ულარიბეს გლეხების ინტერესები, ამას მოწმობს მთელი რიგი ფაქტებისა, რომელიც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქალაქსა და სოფელს შორის გაბმულია მჭიდრო კავშირი და რომ ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების არც ერთს პროვოკაციას არ შეუძლია დაარღვიოს ეს კავშირი.

ძირითად მიზეზად, რომელიც ხელს უწყობს მტკიცე კონტაქტის დამყარებას ქალაქის პროლეტარიატსა და გლეხთა ულარიბეს წრეებს შორის, უნდა ჩაითვალოს აგრარულ საკითხის გადაჭრა ამ გლეხების სასარგებლოდ. საქართველოში, სადაც მოსახლეობის 87 პროცენტი სასოფლო მეურნეობას მისდევს, ეს საკითხი დიდად აღელვებდა გლეხობას, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წელს მოელოდა მის გადაჭრას.

კერენსკის დროებითი მთავრობას დაშემდეგ კი საქართველოს მენშევიკურს მთავრობას უნარი არ აღმოაჩნდათ ამ საკითხის გადაჭრისა დაინტერესებულ გლეხების სასარგებლოდ. მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ კი მთლად აღგავა პირისაგან ქვეყნისა ფეოდალურ წყობილების უკანასკნელი ნაშთები და მიწა იმათ გადასცა, ვინც მას ფაქტიურად ამუშავებდა. როგორიც არ უნდა იყოს გადამხდელის ფსიხოლოგია, ჩვენი გლეხი მაინც ვერ დაივიწყებს, თუ რა მისცა მას პროლეტარიატის დიქტატურამ. იგი თავის მხრივ დიდად დაინტერესებულია იმ ხელისუფლების დაცვით და განმტკიცებით, რომელმაც მას მიწა მისცა და მაშასადამე მიანიჭა საშუალება, რომ თავის წარმოების პროდუქტების ბატონ-პატრონი გამხდარიყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ისეთი მდგომარეობა არსებობდა, რომ გლეხთა უმრავლესობა იძულებული იყო, თავისი მოსავლის ერთი ნაწილი თავადებისა და აზნაურებისათვის მიეცა, ვინაიდან მათ მიერ დამუშავებული მიწა ამ უკანასკნელთ ეკუთვნოდა, ხოლო მეორე ნაწილი გადაეცა მენშევიკურ მთავრობის განკარგულებაში. სოფლის ულარიბეს წრეებს თვითონ აღარა რჩებოდათ რა. აგრარულ რეფორმის წყალობით, რომელსაც პროლეტარული ხელისუფლება მტკიცედ ანხორციელებს, თავადაზნაურობას წართმეული აქვთ უფლება, რომ გლეხებს მათი შრომის ნაყოფი მოსთხოვონ.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში მემკვიდრეობით აზნაურნი მთელი მოსახლეობის მხოლოდ 6 პროც.-მდე შეადგენენ, მაშინ ყველასთვის ცხადი გახდება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უდიდესი საქმე შეასრულა ულარიბეს გლეხების საჭიროებათა დაკმაყოფილებით.

ყოველივე ამას დღეს გრძნობენ ჩვენი მტრებიც, რომელნიც აღიარებენ, რომ ჩვენი აგრარული პოლიტიკა „სწორეა“ და „ცხოვრების მოთხოვნილებას შეეფერება“.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

აგრარულ რეფორმის განხორციელება როდი წარმოადგენს ჩვენი მთავრობის იმ უკანასკნელ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. საკმარისი არ არის, რომ თქვენს განკარგულებაში მიწა გქონდეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობის გასადიდებლად. საჭიროა, რომ შეგვეძლოთ თავისუფლათ მოიხმაროთ ზედმეტი მოსავალი. ამ მიზნით მთავრობა იძლევა კიდეც შესაძლებლობას, რომ გამოიყენონ თავისუფალი ბაზარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასაცვლელად ქალაქის მრეწველობის პროდუქტებზე. ბევრნი ამახინჯებენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის აზრს და ისე ესმით, ვითომც პროლეტარიატი ხელშეკრულებას სდებს არა გლეხობასთან, არამედ ბურჟუაზიასთან. ჩვენის ეკონომიურ პოლიტიკის ასეთს განმარტებას სრულიად არავითარი საფუძველი არა აქვს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ თავისუფალ ბაზარზე სწარმოებს გადაცვლა სოფლის ნაწარმოებზე უმთავრესად და უპირატესად იმ საქონლისა, რომელიც ეკუთვნის ბურჟუაზიას კი არა, არამედ სახელმწიფოებრივს მრეწველობას. ბაზარზე კერძო შემსყიდველთა უმნიშვნელო რიცხვის გამოსვლა არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ მოვლენად, რომელიც სახელს გაუტეხს ზემოხსენებულს შეთანხმებას გლეხობასთან.

თავისუფალი ბაზარი წარმოადგენს არა მიზანს, არამედ საშუალებას გლეხთან დასაახლოვებლად, წარმოადგენს ბურჟუაზიის გასაძლიერებლად შექმნილ პირობებს კი არა, არამედ იმ გზას, რომლითაც მიმდინარეობს როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე სახელმწიფო მრეწველობის განვითარება.

ასეთია სინამდვილე და სწორედ ამ მხრივ უნდა მივუდგეთ ამ საკითხს.

რასაკვირველია, არის ერთგვარი საფრთხე იმისა, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობა განვითარდება. მაგრამ ეს საფრთხე ადვილი ასაცილებელია მტკიცე საგადასახადო პოლიტიკის წყალობით, რომელიც ტვირთად უნდა დააწვეს არა გლეხს, ან შინამრეწველს და ხელოსანს, არამედ შემსყიდველ-მევახშეს, რომელიც, სარგებლობს რა ბაზარზე თავისუფლებით, სცდილობს მიითვისოს ის, რაც მშრომელთ ეკუთვნის.

ამ აზრით საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ბაზარზე საქონლის თავისუფლად გადაცვლის ნებას იძლევა, ხელს უწყობს იმ გლეხობას, რომელიც მთელის თავის არსებით დაინტერესებულია თავის წარმოების პროდუქტების გასაღებაში. ამ რიგად ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის საშუალება გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გადასახადები აუცილებელია.

საბაზრო პირობებზე, რომელიც საშუალებას აძლევს გლეხს თავისი პროდუქტები ხელსაყრელ პირობებში გადასცვალოს, დამოკიდებულია ნორმალურ ურთიერთობის დამყარება ქალაქსა და სოფელს შორის. ეს პირობები იცვლება იმ საფინანსო პოლიტიკის მიხედვით, რომელსაც სახელმწიფო აწარმოებს.

დღემდე, ანუ 1923 წლამდე, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში თითქმის მარტო ემისიით ვიკვებებოდით. საგადასახადო აპარატის წესიერად მოუწყობლობა, აგრეთვე ადგილობრივ და სახელმწიფოებრივ გადასახადების მტკიცედ შემუშავებულ გეგმის უქონლობა საშუალებას არ აძლევდა სახელმწიფოს, რომ ემისია შეემცირებინა და მით გავლენა მოეხდინა ფულის კურსის განმტკიცებაზე. რამდენადაც მეტ ქაღალდის ფულს გამოსცემს სახელმწიფო ემისიის გზით (იმ დროს, როდესაც ბაზარზე ამის მოთხოვნილება არ არი), ის იმდენად უფრო ფასს უკარგავს ფულს და იმდენად უფრო აუარესებს საბაზრო პირობებს.

ამას გარდა ემისია ისეთის სახის გადასახადია, რომელიც განსაკუთრებით გლეხობას აწვება კისერზე.

ის პირობები, რომელშიაც სწარმოებს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების ფასის დაცემა, ცუდს გავლენას ახდენს თითქმის განსაკუთრებით გლეხის მდგომარეობაზე. ფულის კურსის დაცემის დროს ქალაქის ვაჭრები შესაფერად ადიდებენ თავის საქონლის ფასს და მით თავის თავს აზღვევენ ფასდაკარგულ მანეთის მათ ნივთიერ მდგომარეობაზე გავლენისაგან. მუშათა კლასი ასე თუ ისე სცდილობს შეინარჩუნოს სამუშაო ხელფასის მინიმუმი პროფესიონალურ ორგანიზაციების საშუალებით რომელნიც კოლექტიურ ხელშეკრულებას სდებენ დაწესებულებებთან და წარმოებებთან. რჩება გლეხობა, რომლის პროდუქტებსაც ფასი ეკარგება ამასთან ერთად იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც გლეხს აღარ შეუძლია შეინახოს ქაღალდის ფული, რომელიც ემისიის გადიდებასთან ერთად ღირებულებას ჰკარგავს.

შეუძლებელია, რომ ამას სახელმწიფომ ყურადღება არ მიაქციოს.

შექმნილ მდგომარეობიდან ერთად-ერთს გამოსავალს წარმოადგენს წესიერად შემუშავებული საგადასახადო პოლიტიკა და გადასახადის ასაკრები აპარატის შესაფერი ორგანიზაცია. გადასახადების შემოსვლას შედეგად მოჰყვება ემისიის თანდათანობით შემცირება და ჩვენი ფულის კურსის სწრაფად დაცემის შაჩერება.

აი უმთავრესი მოტივი, რომელიც საფუძვლად ედება სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

აქედან ცხადია, რომ ეს გადასახადი არ არღვევს არც გლეხთან კავშირს, არც საბჭოთა ხელისუფლების ძირითადს ხაზს სოფლის მოსახლეობის მიმართ. ამიტომ გადასახადი აუცილებლად უნდა აიკრიბოს.

სახელმწიფოს საჭიროებანი.

საკითხი უნდა დაისვას მხოლოდ იმდენ ფუთის ფარგლებში, რამდენის აკრებაც განზრახულია. რაც მეტი გადასახადი შემოვა, იმდენად უკეთესია სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობისთვის. მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, ამ თვალსაზრისს ვერ დავადგებით. ჩვენ საკითხს უნდა შევეხოთ არა მარტო ხაზინის ინტერესების თვალსაზრისით, არამედ იმ მხრითაც, თუ რამდენად შესაძლებელია და სამძიმო არ არის გლეხისათვის ის გადასახადი, რომელიც შემოვიღეთ.

როგორია სახელმწიფოს მოთხოვნილება?

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად საჭიროა, გამოვარკვიოთ ფინანსიური მოთხოვნილება, ყველა სამი რესპუბლიკის ვინაიდან ისინი გაერთიანებულნი არიან ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველომ პირველი ოთხი თვის განმავლობაში (იანვარი-აპრილი) გაუხსნა მათ კრედიტი 9.633 მილიარდი მანეთის, ა.-კ. ფულის ნიშნებით, რაიც ოქროზე გადატანით შეადგენს 14,799,262 მანეთს. თვეების მიხედვით ეს კრედიტები შემდეგ ნაირად ნაწილდება.

თვეები	კრედიტი გაეხსნა	
	მილიარდ მანეთებად	ოქროს მანეთებად
იანვარი . .	1558	3,037,037
თებერვალი	1863	3,624,513
მარტი . . .	2555	4,451,220
აპრილი . .	3657	3,686,492
სულ . . .	9633	14,799,262

ყოველთვიურ ხარჯების (საერთო ფედერალური და რესპუბლიკანური) საშუალო ჯამი უდრის ამიერ-კავკასიაში 3,699,816 მანეთს ოქროთი, ანუ დამრგვალებით—3,700,000., ხოლო წელიწადში—44,400,000 მან. ოქროთი.

იანვარ-აპრილის განმავლობაში შემოვიდა გადასახადებისაგან და არა საგადასახადო წყაროებიდან 7,400,000 მან., ანუ მთელის შემოსავლის 54 პროცენტი და ემისიიდან 6,300,000 მან., ანუ 46 პროცენტი.

თვეების მიხედვით შემოსავალი ასე ნაწილდება:

თვეები	შემოვიდა		
	გადასახადი და სხ. არა საგ. შემოსავალი	ემისია	სულ
იანვარი . . .	1.800000	1.00 000	2.900000
თებერვალი .	2.100000	1.300000	3.400000
მარტი	2.300000	1.800000	4.100000
აპრილი . . .	1.200000	2.100000	3.300000
სულ . .	7.400000	6.300000	13.700.000

მაშასადამე თვეში შემოსულა: ემისიისაგან 1.600.000 მან. ოქროთი, ანუ 47 პროცენტი და გადასახადისა და არა საგადასახადო შემოსავლისა —1.800.000 მან., ანუ 53 პროცენტი, სულ 3.400 000 მან ოქროთი.

მთელი ხარჯების 47 პროცენტს სახელმწიფო აკმაყოფილებს ემისიის გზით. ამასთან ერთად ირკვევა, რომ რესპუბლიკების ხარჯები 1923 წლისათვის უდრის 44.400 000 მან. ოქროთი, ხოლო მაისიდან დეკემბრის ბოლომდე—30-მდე მილიონი მანეთს ოქროთი.

მხოლოდ ხაზინის ინტერესები რომ მიგველო მხედველობაში, მაშინ მთელს ამიერ-კავკასიაში უნდა შეგვეკრიბა 30-მდე მილიონი მანეთი ოქროთი; აქედან სოფლის მოსახლეობას მოუწევდა 14 ნახ.-მდე მილიონი მანეთი მაშინ საჭირო აღარ გახდებოდა ემისია და ფულის კურსსაც განვამტკიცებდით, მაგრამ ეს ამოცანა წელს ჩვენთვის განუხორციელებელია. ჩვენ მიზნად რომ დაგვესახა სოფლის მოსახლეობისაგან 14 ნახ.-მდე მილიონი მანეთის აკრება იანვრამდე, ამით ჩვენ დამოკიდებულებასაც გავამწვავებდით გლეხობასთან და სოფელსაც დავაქცევდით. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ გადასახადის ისეთს რაოდენობაზე, რომელიც ემისიას შეამცირებს და სასოფლო მეურნეობასაც არ დააქცევს. წარმოვიდგინოთ, რომ ქალაქი მომავალშიაც გაიღებს 1.800.000 მან. ოქროთი, მაშინ სოფლის მოსახლეობის ხვედრად რჩება ემისიასთან ერთად 1.700.000 მან. ოქროთი.

აი ეს ჯამი უნდა გავანაწილოთ ისე, რომ მისი ერთი ნაწილი დაიფაროს ემისიით, ხოლო მეორე ნაწილი შეგროვილ იქმნას სოფლის მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით.

იანვრიდან აპრილამდე ემისიამ მოგვცა 7.300.000 მან. ოქროთი. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ემისია 1.300.000 ოქროს მანეთის რაოდენობით ასე თუ ისე ნორმალური იქნებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გაზაფხულის თვეები ყველაზე უფრო არა ხელის შემწყობია ბაზრისთვის და შემოდგომისთვის დიდდება ბაზრის ტრიალი. ამ გზით სოფლის მოსახლეობას მოუწევს 400.000 მან. ოქროთი თვეში, ხოლო სასოფლო-სასეურნეო წლის განმავლობაში შეადგენს 3.400.000 მანეთს ოქროთი.

აქ მხედველობაში არ არის მიღებული ადგილობრივი საჭიროებანი, ადგილობრივს ხელისუფლებას კი საშუალებანი ესაჭიროება. თუ გადასახადის საერთო ჯამს სიფრთხილის გამო 50 პროცენტს მიუმატებთ, მივიღებთ 1.700.000 მან., სულ კი 5.100 000 მანეთს ოქროთი.

დაახლოვებით ეს ჯამი უნდა იქმნეს შეკრებილი სოფლის მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით.

ა. ერქომაიშვილი.

(დასასრული იქნება).

საქართველოს პროფკავშირთა მესამე ყრილობა

ყრილობის გახსნა.

საქ. პროფ. კავშირთა მე 3-მე ყრილობა იხსნება მუშათა სასახლის წითელ დარბაზში 5 ნახ. საათზე. დარბაზი გაჭედილია დელეგატებით. კრებას ხსნის ამხ. **ყურულაშვილი** შემდეგი სიტყვებით: საქ. პროფკავშირთა მე 3-მე ყრილობას გახსნილად ვაცხადებ (ინტერნაციონალი) მე 2-ე ყრილობის შემდეგ 1 წელმა და 4 თვემ გაიარა. ამ ხნის განმავლობაში შესრულებულ იქნა მე 2-ე ყრილობიდან გამომუშავებული გეგმა, დამყარებულია ძმური ურთიერთობა მეზობელ რესპუბლიკების პროფ-კავშირთან. მე 2 ყრილობას მოუხდა მუშაობა მაშინ, როცა პროფკავშირები ახალი ამოცანების გატარების წინაშე იდგა. მაშინ ეს ამოცანები გარკვეულნი არ იყვნენ და მუშაობას საფუძვლად დაედვა რ. კ. პ. თეზისები. შედეგათ ამას საქ. პროფ კავშირთა განმტკიცება მოჰყვა. ხელფასის კოლექტიურ ხელშეკრულებით მოწესრიგებამ კავშირთა მიერ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშათა მატერიალური მდგომარეობა. ნებაყოფლობით წევრობაზე გადასვლამ და კავშირთა გაწმენდამ პროფ-კავშირები საბოლოოდ გაამაგრა, ამ ყრილობამ ჯამი უნდა გაუკეთოს ნამოქმედარს და გაითვალისწინოს სამოქმედო ხაზი. სალამი ყრილობას (ინტერნაციონალი).

პრეზიდიუმის არჩევა.

კომუნისტური ფრაქციიდან წარმოდგენილ პრეზიდიუმში ასარჩევ ამხანაგთა სია; კრება ერთხმად იღებს. პრეზიდიუმში შედიან შემდეგი ამხანაგები: **კახიანი, ჟუღელი, ყურულაშვილი, პიახეცკი, ჯიჯაძე, ბახუტოვი, დუმბაძე, ვაშაკიძე და ატოევი.** ამხ. ბახუტოვის წინადადებით პრეზიდიუმში არჩეულია სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა ა.-კ. ბიუროს თავმჯდ. ამხ. **გინზბურგი.** სამანდატო კომისიაში არჩეულია ამხ. **მარჯაროვი, ცომაია და ხერგეევი.** ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ ირჩევენ ამხ. **ლენინს, ტროცკის, სტალინს, ზინოვიევს, ლოზოვსკის, ტომსკის მ ცხაკაიას, მ. ხარაძეს, ორახელაშვილს.** შემდეგ კრება ამტკიცებს რეგლამენტს და დღის წესრიგს.

მისალმებანი.

თავმჯდომარე კითხულობს აზ. პროფ კავ და სომხ. პროფ. კავ. მიღებულ მისასალმებელ დეპეშებს მიღებულია აგრეთვე დეპეშა ტფილისის ცეცხლის მქრობელთაგან.

მისასალმებელ სიტყვას სრ. რუსეთის პროფ კავ. სახელით, ამბობს ამხ. **გინზბურგი,** რომელიც საქარ. პროფ. კავშირთა მუშაობას აღიარებს სამაგალითოდ და მეტად ნაყოფიერად. დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს შრომის ხელფასის ასე საგრძნობლად გადიდება. საქ. პროფ. კავშირმა ნათელჰყო, რომ შესაძლებელია წარმოების ინტერესების მუშათა ინტერესებთან შეთანხმება. დასასრულ იგი უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ საქმიან მუშაობას და მოკავშირე—რესპუბლიკების პროფ. კავშირებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებას.

მემარცხენე სოც. ფედ. სახელით ყრილობას ესალმება ამხ. **თურქია,** რომელიც აღნიშნავს პროფ. კავშირთა ნაყოფიერ მუშაობას წარსული წლის განმავლობაში, როგორც პროფ. კავშირების მუშაობამ, და ისე ჩვენმა მოქმედებამ სახელმწიფო აღმშენებლობაში დაამტკიცა, ჩვენ მემარცხენე ფედერალისტებს დიახ, ჩვენ გამყიდველები ვართ, გამყიდველებს გვეძახიან. შოვინისტებისა და ბურჟუაზიის (აპლოდისმენტი და ინტერნაციონალი). თურქიას შემდეგ სიტყვა ეძლევა „საერთაშორისო მდგომარეობის“ შესახებ მოხსენების გასაკეთებლად ამხ. **მამია ორახელაშვილს.**

საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება.

თუ გადავხედავთ ევროპის და მსოფლიოში შექმნილ არევ დარევას, მთელი ქვეყანა გიჟების სახლად წარმოგვიდგება, მიზეზი ამ არევ დარევისა არის ბურჟუაზიისადმი შექმნილი კატეხიზმა „ვერსალის ხელშეკრულება“, რომელიც ძირითად ბოროტებას წარმოადგენს... ამ ხელშეკრულებით ბურჟუაზიამ ვერ აღადგინა მის მიერ ომით დანგრეული ქვეყანა. მან ვერ დაამყარა წარმოების განსანვითარებლად აუცილებლად საჭირო პოლიტიკური მშვიდობიანობა. პირიქით, მშვიდობიანობის ნაცვლად, ჩვენ ვხედავთ სამხედრო ძალის ერთი ორად ზრდას და პოლიტიკურ წონასწორობის საშინელ რყევას. ბურჟუაზიამ ვერ შექმნა მტკიცე სამეურნეო ნიადაგი. აქედან ცხადია რაკი მან დაანგრია თავის მეურნეობის საფუძვლები და სამაგიეროდ ვერ შექმნა, მის წინაშე ბუნებრივად წამოიჭრა კომპენსაციის საკითხი. აშკარაა, ვინ, გახდებოდა ბურჟუაზიის მიერ თავის ზარალის ანაზღაურების მსხვერპლად,—ეს არის მშრომელი მასები. კონტრიბუციები, სარეპარაციო გადასახადები მუშა კლასს აწევს კისერზე. ამის გამო გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობა შედარებით სხვა ქვეყნების მუშებთან, მეტად გაუარესდა, ის გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე რუსეთისა და საქართველოს მუშათა მდგომარეობა.. გერმანიის—ამ ყველაზე განვითარებულ და კულტურულ ქვეყნის ფულის კურსის საშინლად დაწევა—მაჩვენებელია იმისი, თუ რა საშინელ პირობებშია ქვეყანა და მისი მშრომელი ელემენტები:

კაპიტალის შეტევა.

მსოფლიო ომის დასასრულს ფრონტებიდან დაბრუნებულს და ქალაქებში დაგროვილ შურისძიებით აღსავსე მასსების შიშით ბურჟუაზია იძულებული გახდა დაეთმო და შეექმნა შრომის დაცვის კოდექსი, ეს დრო საუკეთესო მომენტი იყო რევოლუციის მოსახდენად, მაგრამ მე-3 ინტერნაციონალის ხელმძღვანელთა წყალობით ეს აღელვებული ბურჟუაზიის შორის დაცვის მოჩვენებითი კანონმდებლობით მოტყუებული მასები დაიფანტენ აქ-იქ ცალკე წარმოებაში და დაუდგა ჟამი ბურჟუაზიას შეტევაზე გადასასვლელად და პროლეტარიატზე გაცემულ უფლებათა გასაუქმებლად. ამიერიდან (1920 წ.) იწყება ყველგან საერთო თავდასხმა მუშათა მასებზე, ბუნება კაპიტალის და ბრძოლის მეთოდები ყველგან ერთგვარია. მიზანშია ამოღებული 8 საათის სამუშაო დრო და შრომის ხელფასი. სურთ გააუქმონ პირველი და ძალზე შეამცირონ მეორე. ინგლისი, ამერიკა, ნორვეგია, შვეცია საქონელს ამზადებინებენ გერმანიას (როგორც ქვეყანას მდაბალი ვალიუტით და შრომის მინიმალური ხელფასით) და შემდეგ ასაღებენ ბაზარზე როგორც თავის ნაწარმოებს, შედეგათ ამას მოსდევს ფაბრიკა-ქარხნების დახურვა და შრომის ხელფასის დაცემა ყველგან ევროპასა და ამერიკაში, გერმანიის ფაბ-ზავკომები მოითხოვენ ომის წინა დროინდელ ხელფასის 50 პროც. მაშინ როცა ჩვენში ხელფასმა 60 პროც. გადააჭარბა. საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა ნივთიერი მდგომარეობა ბევრად უმჯობესია, გერმანიაზე, თვით უმდიდრეს ამერიკაშიც კი ხელფასი დაბლა იწევს, და ბურჟუაზიულმა სიბრძნემ დააწესა აგრეთვე მუშათა ხელფასზე გადასახადი (ბელგია, იტალია, საფრანგეთი), მაგრამ ყველაზე უფრო მწარედ ჰკბენს მორიელივით მუშა ხალხს უმუშევრობა, რომელიც თან და თან იზრდება და რომელსაც საფუძვლად უდევს სხვა და სხვა სახელმწიფოების ვალიუტის სხვა და სხვაობა. ევროპის მთლიანი მეურნეობა დღეს არ არის და არც იქნება თუ პროლეტარული რევოლუცია არ მოხდა, ევროპაში არ არი პოლიტიკური წონასწორობა და ის ფაქტიურად ომის მდგომარეობაში იმ-

მდგომარეობა ბულგარეთში *)

ბულგარეთში მოხდა გადატრიალება—სტამბულინსკის მთავრობა დაამხეს და შესცვალეს ახალი მთავრობით. ახალი მთავრობის თავმჯდომარის ცანკოვის სახელი იმის მაჩვენებელია, რომ გადატრიალება მოახდინა „სათადარიგო ოფიცრების ლიგამ“, კაბინეტში კი „სახალხო პროგრესიული პარტიის“ მეთაურის თეოდოროვის და „დემოკრატიული“ პარტიის მომხრე მოლლოვის მონაწილეობა იმის დამამტკიცებელია, რომ ყველა ძველი ბურჟუაზიული პარტიების ბლოკი პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უწევდა ამ გადატრიალებას და თავის თავზე აიღო ამის პასუხისმგებლობა.

უცხოელისათვის სტამბულინსკის დამხობა იმ „ბრწყინვალე თავზარდამცემი გამარჯვების“ შემდეგ, რომელიც მან მოიპოვა უკანასკნელი არჩევნების დროს, დიდათ მოულოდნელია. მაგრამ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ც. კ. პლენუმმა არჩევნების წინ თავის დეკლარაციაში სრულიად გარკვეულად განაცხადა, რომ არასოდეს სოფლის მეურნეთა მთავრობა არ ყოფილა ასე სუსტი, როგორც ამ „გამარჯვების“ შემდეგ.

მეურნეების მთავრობამ, რომელიც გააბრუა თვით მისთვის მოულოდნელმა ასეთმა გამარჯვებამ, ხელსაყრელად ჩასთვალა მომენტი იმისათვის, რომ არჩევნების დასრულებისთანავე გაეჩაღებია ბრძოლა მთელ ფრონტზე თავის მტრებთან.

პირველ ყოვლისა მან განიზრახა საბოლოოთ ანგარიშების გასწორება მოღალატეებთან „მეურნეების კავშირის“ წრიდან და ამიტომ განაგრძობდა ტერორს ყოფ. ფინანსთა მინისტრის ტურლაკოვის ჯგუფის მიმართ.

შემდეგ მან იფიქრა, რომ დადგა დრო კომუნისტური მოძრაობის მიწასთან გასასწორებლად. კომუნისტური მოძრაობა სოფელში ნიადაგის გამოცლით ემუქრებოდა მთავრობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი. ამ მნიშვნელობით, როგორც სჩანს, სტამბულინსკის მეურნეების მთავრობამ გარკვეული ვალდებულებები მიიღო თავის თავზე ანტანტის წინაშე და ამით გადაუხადა მას სარეპარაციო საკითხში დათმობისათვის. მართლაც, საშინელი ტერორი და გაავთრებული რეპრესიები კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ გაძლიერებით გრძელდებოდა არჩევნების შემდეგაც, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ აქ ჩვენ საქმე გვქონდა „ახალ კურსთან“. ასე, მაგალითად ვარნაში დატუსაღებული იქნა პარტიული ორგანიზაციის მთელი პრეზიდიუმი; ლომში, სლივენში და სოფელ დოლბოკში, რომლებიც კომუნისტურ სიმაგრეებს წარმოადგენენ, გაიგზავნა მთელი შავრაზმული და სამხედრო ექსპედიციები; მთავრობა აპირებდა ყველა პარტიული, სინდიკალური და კოოპერატიული სახლების, პარტიული სტამბის და სხვ. დახურვას.

და ბოლოს (სამხრეთ-სლავიასთან) ნიშში დადებულ შეთანხმების შესათანხმებლად მან აშკარა ბრძოლა დაიწყო ბულგარეთში მაკედონელთა ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ ნამდვილი ომის ხასიათი მიიღო პეტრიჩის რაიონში. ბრძოლას მაკედონელებისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის მნიშვნელობა ქონდა: ისინი ან უნდა დაღუპულიყვენ ან [illegible] ხელი უნდა გაეწოდებიათ მთავრობის მოწინააღმდეგე სხვა ძალებისათვის და ამ რიგათ ხელი შეეწყოთ სტამბულინსკის დამხობისათვის, რომელსაც მათ, თავისი ტერორისტული ტრადიციების მიხედვით სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მეურნეების მთავრობის მზად ყოფნა ყველა თავის მტრებთან ერთსა და იმავე დროს ბრძოლის დაწყებისათვის აიხსნება აგრეთვე იმით, რომ მან გადააფასა თავისი გამარჯვება ძველ ბურჟუაზიულ პარტიებზე. მართალია, მან საგრძნობი ზიანი მიაყენა მათ (წარსული წლის სექტემბრის ამბები, მათი ბელადების დატუსაღება, პლებისციტი მათი სისხლის სამართლის კანონების მიხედვით გასამართლების შესახებ და სხვა), მაგრამ მისი საერთო პოლიტიკა იყო წყალის დასხმა კაპიტალისტურ წისქვილზე და საერთოდ აძლიერებდა კაპიტალის პოზიციებს.

ქალაქის ბურჟუაზიამ, რომელიც დარწმუნდა, რომ ლეგალური საშვალებებით (პოლიტიკური დემონსტრაციები, არჩევნები და სხვ.) ვერ დაიბრუნებს ქვეყნის მმართველობაში დაკარგულ მნიშვნელოვან როლს, მოხერხებულათ გამოიყენა უკმაყოფილება სათადარიგო ოფიცრების ნაწილისა, რომელიც ქუჩაში დარჩა გამოსროლილი არმიის შემცირების გამო და წააქეზა ისინი შეექმნათ კონსპირატიული ლიგა სათადარიგო პოლკოვნიკის ლაზარაკის ხელმძღვანელობით. ლიგამ მიზნათ დაისახა გადატრიალების საშვალებით სტამბულინსკის მთავრობის დამხობა. ეს ლიგა, რომელსაც ფართე კავშირი ქონდა ნამდვილ სამსახურში მყოფ ოფიცრობასთან, სინამდვილეში ბურჟუაზიის სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენდა. მაგრამ მას ქონდა უფრო ფართე განზრახვებიც. მას არ სურდა კავშირი ქონოდა ერთ რომელიმე პარტიასთან, არამედ ცდილობდა „წესრიგისა“ და კაპიტალის ყველა პარტიები შეეკავშირებია ერთ ნაციონალურ ბლოკში, რომელიც თავს მოუყრიდა ყველა არსებულ პოლიტიკურ პარტიებს გარდა სოფლის მეურნეებისა და კომუნისტებისა. სწორედ ეს ქონდა დასახული მიზნათ ლიგის პოლიტიკურ კომიტეტს, რომელსაც იწოდებოდა „ნაროდნაია ოტზრანა“; მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აქ პროფესორი ცანკოვი, ახლანდელი მთავრობის მინისტრ-პრეზიდენტი. სამხედრო ლიგა დიდი ხანია ამზადებდა გადატრიალებას, მაგრამ მთავრობა ყოველთვის ასწრებდა თავის დროზე საჭირო ზომების მიღებას.

წარსულ წელში, ბურჟუაზია შეეცადა „ლიგასთან“ ერთად გამოეყენებია ბულგარეთში მყოფი ვრანგელის არმია, მაგრამ ეს საფრთხე აშორებული იქნა უმთავრესად კომუნისტური პარტიის წყალობით, ახლა, როგორც სჩანს, ლიგამ ხელსაყრელათ ჩასთვალა მომენტი და მოქმედება დაიწყო.

მაშასადამე, ომი, რომელიც გამოუცხადა სტამბულინსკიმ კომუნისტურ პარტიას და მაკედონელთა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, მოხერხებულათ გამოიყენა კაპიტალისტურმა ბურჟუაზიამ „სოფლის მეურნეთა მთავრობის“ დასამხობათ, ზემოთ ნათქვამს უნდა მიუმატოთ კიდევ ახალი ნაციონალისტური და საომარი კურსი საგარეო პოლიტიკაში: ბულგარიის გამოსვლა „დიდი პოლიტიკის“ არენაზე, შეთანხმება სამხრეთ-სლავიასთან, მუქარა საბერძნეთს დასავლეთ-ფრაკიის საკითხის გამო,—ყველა ამან აღელვა სოფლის მასსები, რომლებსაც თვალწინ წარმოუდგათ ახალი ომის საფრთხე და მათ უფრო დაჰკარგეს სტამბულინსკის „მშვიდობიანი“ პოლიტიკის რწმენა.

თუ როგორ უპასუხებს ქვეყანა, ე. ი. სოფლის და ქალაქის მშრომელი მასა, ამ გადატრიალებაზე, დამოკიდებულია იმ ძალაზე და გავლენაზე, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენია „მეურნეების კავშირს“ გლეხობაში და იმ პოზიციაზე, რომელსაც დაიჭერს კომუნისტური პარტია. კომუნისტური პარტია, რომელიც ახალი მთავრობის გარეშე დარჩა, ერთად ერთი პარტია არის, რომელსაც აქვს საჭირო ავტორიტეტი, რომ უხელმძღვანელოს ბრძოლას მუშურ-გლეხური მთავრობისათვის.

ყოველ შემთხვევაში, ეს გადატრიალება ნიშნავს კაპიტალისტური და ნაციონალისტური ბურჟუაზიის დიდ გამარჯვებას ქალაქისა და გლეხობის მშრომელ მასებზე. ეს არის ერთი ზედმეტი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს არ შესწევთ ძალა დაასუსტონ კაპიტალი და დაამარცხონ ბურჟუაზია; ეს არის იმის დამამტკიცებელი, რომ „დემოკრატიის“ გზები ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობისათვის უკვე დახურულია და ის უფრო და უფრო იძულებულია მიმართოს გადატრიალებას და სამხედრო დიქტატურას.

თუ გადატრიალება არ გადაიქცა სამოქალაქო ომის დაწყების სიგნალათ და თუ ახალმა მთავრობამ შესძლო ძალა-უფლების შენარჩუნება, მაშინ ეჭვს გარეშეა, კაპიტალის შეტევა ბულგარეთში სწრაფის ტემპით განვითარდება და კაპიტალისტური რეაქციის ყველა ჯალოკრები თავს დაესხმიან კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას.

მაგრამ კაპიტალისტები ვერ შესძლებენ დიდი ხნით მუშებზე და გლეხებზე გაბატონებას იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი გამოიყენებენ თავისი მაჩანჩალა, ძველი და უკვე ილაჯ-გამოლეული ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიის დახმარებას. ამ შემთხვევაშიც მათი პოლიტიკა, რომელიც იქნება მტაცებლური, აღვირწახსნილი ექსპლოატაციის და სპეკულიაციის, სამხედრო დიქტატურის და ომის პოლიტიკა, გამოიწვევს აღელვებას ფართე მასებში, რასაც მოჰყვება ამ პოლიტიკის სულის ჩამდგმელების დამარცხება.

საბჭოთა რუსეთის მიმართ ახალი მთავრობა, ეჭვს გარეშეა, მტრულ პოზიციას დაიჭერს: მცირე დათმობისათვის ის თავის დახმარებას დაპირდება მის მტრებს. მაგრამ ბულგარეთის ხალხის ამხედრებას საბჭოთა რუსეთთან საბრძოლველათ ის ვერასოდეს ვერ შესძლებს.

ვ. კოლაროვი

---

*) რამოდენიმე შემოკლებით ჩვენ მოგვყავს ბულგარეთის კომპარტიის ბელადის, ამხ. კოლაროვის წერილი, რომელიც დაბეჭდილია მოსკოვის „პრავდაში“.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფება. ის, რაც დღეს ევროპაში ხდება, არის რეაქცია სთვლის თავის მოპირდაპირეთ და მოცილეთ აღმოსავლეთში და თავხედურ ულტიმატუმით მოითხოვს ჩვენგან აღმოსავლეთის პოლიტიკაზე ხელის აღებას.

საბჭოთა რუსეთი აღმოსავლეთის ყველა ხალხებიდან ღრმად პატივცემული, სასიკვდილო ლახვარია ინგლისის ინტერესებისათვის და ჩვენ, რასაკვირველია ხელს ვერ ავიღებთ ჩვენს პოლიტიკაზე აღმოსავლეთში რადგან ჩვენ დამოუკიდებელი ვართ და დამოუკიდებელი პოლიტიკაც უნდა გვქონდეს. ჩვენმა პოზიციამ — ინგლისის წვრიმალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებამ, მაგრამ არ დათმობამ მთავარ საკითხში, — ამ პოზიციამ დიდი განხეთქილება წარმოშვა თვით ინგლისის ბურჟუაზიაში.

პროფ. მოძრაობა და ერთიანი ფრონტი

ბურჟუაზია თავდასხმისთვის ემზადება როგორც შინაურ ფრონტზე, ისე საბჭოთა რესპუბლიკაზე. როგორ ხვდება ამას ევროპის მუშათა კლასი? იქ ერთიანი მუშათა ფრონტი არ არსებობს, არ არის პროფესიონალური შეკავშირება საერთაშორისო მასშტაბით, არის ორი პროფინტერნი: ამსტერდამის, რომელსაც 15 მილ. წევრი ჰყავს და წითელი პროფინტერნი 12 მილიონი წევრით, ესენი ერთმანეთის შორის პროლეტარიატზე გავლენის მოსაპოვებლად ბრძოლას აწარმოებენ. 1919 წ. საერთაშორისო მენშევიზმა ბურჟუაზია რევოლიუციიდან გადაარჩინა და შემდეგ მასსების სულიერი განწყობილება შეიცვალა და ჩვენმა კომინტერნმაც წამოაყენა ერთიანი ფრონტის ლოზუნგი მასსების თანდათანობით დაპყრობის მიზნით, მაგრამ, ყვითელი პროფინტერნის ხელმძღვანელები ამ ლოზუნგს წინაღუდგენ. 2 ნახ. ინტერნაციონალი იყო რევოლიუციონური

ფაშიზმი.

რეაქციის საუკეთესო გამომხატველი ფაშიზმი, რომელიც რომელიმე ეროვნების საზღვრებით არ იფარგლება. იგი საერთაშორისო მოვლენაა. ბურჟუაზიამ მართველობის ყოველგვარი ფორმა გამოიყენა და გამოსცადა. მმართველობის დემოკრატიული ფორმა მისთვის დღეს გამოუსადეგარია და შეუფერებელი, ბურჟუაზია თავის მესაფლავეს პროლეტარიატში ხედავს და იგი ჰქმნის თავის სამხედრო ძალას, რადგან იგი ვერ დაენდობა მუშურ-გლეხურ არმიას, რომლის თავდასხმისაგან იგი არ არის უზრუნველყოფილი ბურჟუაზია სამსახურიდან ითხოვს ჩვეულებრივ მილიციას და ჰქმნის თავისას, ფაშიზმი აერთიანებს ყოველ ჯურის ხალხს ომით და რევოლიუციის იმედ-გაცრუებულ ელემენტებს. — მექარხნეს, მასწავლებელს, ინტელიგენტს, მუშას და თვით ყოფილ „სოციალისტებს“. ეს ჭრელი შემადგენლობა არის აგრეთვე მიზეზი მათი უთანხმოების, რომელიც ბოლოს და ბოლოს სრულ დაშლამდე მიიყვანს ფაშიზმს.

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი.

ევროპის მომავალი რევოლიუციის დასაყრდნობი ბრძოლის დროს და მისი მთავარი ბურჯი არის საბჭოთა რუსეთი. ამას გრძნობს საერთაშორისო ფაშიზმი საერთოდ და ინგლისი კერძოთ. შემთხვევითი არ არის გადადგომა პროგრესიული ბურჟუაზიის წარმომადგენელ კაბინეტის, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლოიდ ჯორჯი — რუსეთთან მჭიდრო კომერციულ ურთიერთობის დამყარების მომხრე და მისი კერზონის კონსერვატიულ კაბინეტით შეცვლა. კერზონი ვერ ერკვევა რუსეთის სინამდვილეში, იგი რუს ემიგრანტების პროვოკაციაზე და ყალბი ცნობებით ამცდარია სწორ გზას, იგი რუსეთის მოძრაობის შემაჩერებელი ძალაა. 2 ნახევ. ინტერ. მე 2 ინტერ-თან შეერთება გამოურკვევლობას, ყოველგვარ ბურუსს ჰფანტავს. ამიერიდან არის ორი გზა: ან მეორე ინტერნაციონალთან, ან მესამესთან. მეორე მხრივ კომინტერნის გავლენა თანდათან იზრდება. მიმდინარე წლის მაისში ჩვენ შეუთანხმდით ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო კონფერენციას. მუშათა ინტერესებისთვის ბრძოლის ერთად წარმოების შესახებ ასეთივე შედეგებს იძლევა მელითონეთა კონფერენცია, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა.

მტკიცდება აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის, ამას მოწმობს საფრანგეთის სავაჭრო დელეგაციის რუსეთში ჩამოსვლა, სავაჭრო ხელშეკრულება დანიასთან, მოლაპარაკება იაპონიასთან და სხვა.

ყრილობის მოქმედების ხაზი.

დასასრულ ამხ. მამია მოუწოდებს სხდომას, რომ ყოველი საკითხი გადაწყვიტონ საბჭოთა ხელისუფლების ხელსაყრელობის, მეურნეობის წარმატების თვალსაზრისით და საერთაშორისო რეაქციის საწინააღმდეგო მუშათა კლასის ერთ დროშის ქვეშ გაერთიანების მიხედვით. გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასს.

ყურალაშვილის წინადადებით ეგზავნება მისასალმებელი დეპეშა კომინტერნის პლენუმს, წითელ პროფინტერნს და აზერბეიჯან-სომხეთის პროფკავშირებს.

(მე-2 სხდომა. 17 ივნისი).

სხდომას ხსნის ამხ. ყურულაშვილი. პირველ სხდომაზე ამხ. მამია ორახელაშვილის მიერ გაკეთებულ მოხსენებაზე შემოტანილ შეკითხვებზე უპასუხებს მომხსენებელი ამხ. მ. ორახელაშვილი.

პრეზიდიუმის ანგარიში

მოხსენებას აკეთებს ამხ. ყურულაშვილი. იგი აღნიშნავს პრეზიდიუმის მოქმედებას, რომელიც არჩეულ იქნა მეორე ყრილობაზე და რომლის მოღვაწეობის ანგარიში უნდა ჩაბარდეს მესამე ყრილობას. პრეზიდიუმის მუშაობა შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად, როდესაც ყურადღება მიქცეული იყო სატარიფო და საორგანიზაციო საკითხებზე.

პრეზიდიუმში იყო სამი ორგანო. უმთავრესად თვით პრეზიდიუმი და სამდივნო ასრულებდა მთავარ ფუნქციებს. და შემდეგ ამხ. ჟუღელის ბახუტოვის და ყურულაშვილის შემადგენლობით დაარსებული კომისია ასრულებდა სამდივნოს ჩვეულებრივ საქმეებს. პრეზიდიუმი კი სწყვეტდა პრინციპიალურ საკითხებს.

სამდივნოს ამ ხნის განმავლობაში ჰქონდა სხდომა 52 ჯერ, პრეზიდიუმს — 41 გაფართოებული პლენუმი მოწვეული იყო 13 ჯერ. გაირჩა 134 საკითხი. უმთავრესად საკითხები იყო საორგანიზაციო ხასიათის. მეორე ადგილი უკავია სატარიფო-ეკონომიურ საკითხებს, მესამე ადგილი შრომის დაცვის საკითხებს და ბოლოს კულტურულ საკითხებს. ერთ უმთავრეს საკითხად მიჩნეული იყო შტატების შემოკლების საკითხი და კავშირების გაწმენდა არა პროლეტარულ და მშრომელ ნაწილებისგან.

გაწმენდა შეეხო უმთავრესად კერძო მესაკუთრეებს და პოლიციის მოხელეებს, თუმკა აქ ანგარიში გაეწია წვრილ მოხელეებს, რომელთაც თავიანთ არსებობისთვის ძალაუნებურად უხდებოდათ მუშაობა ძველ რეჟიმში. გაწმენდა უკვე დღეს დასრულებულია აგრეთვე გატარდა წევრთა აღრიცხვა. მოეწყო კამპანია პროცენტულ ანარიცხების და ფონდების დაარსების შესახებ. დაარსებულ იქნა კულტურული და უმუშევართა ფონდები. უმუშევართა ფონდის პირდაპირი დანიშნულება იყო უმუშევართა დახმარება.

პრეზიდიუმს დიდი მუშაობა მოუხდა მუშათა დასასვენებელ სახლების მოწყობაში. ამ საქმეში მან კარგ შედეგებს მიაღწია და მუშათა დასასვენებელ სახლებში უკვე გაგზავნილია ჯერ-ჯერობით 3300 მუშა-მოსამსახურე.

რაც შეეხება კულტმუშაობას, აქ აღსანიშნავია მუშათა ფაკულტეტების მოწყობა. მუშფაკი არსებობს როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. მუშფაკი გახსნილია აგრეთვე პროვინციაში: ხაშურში და ჭიათურაში. ამას გარდა დაარსებულია პროფტექნიკური კურსები. კულტმუშაობის გასაცხოველებლად არსებობს კულტწრეები. პრეზიდიუმმა კარგად დააყენა საგამომცემლო საქმე, პროფკავშირს აქვს თავისი საკუთარი ორგანო გაზეთი „მუშა“. მეორე ორგანო არის რუსულ ენაზე „რაბოჩაია პრავდა“. გაზეთი „მუშა“ წმინდა პროფესიონალურია და ემსახურება განსაკუთრებით მუშათა ინტერესებს. ტირაჟი მისი შესამჩნევად იზრდება.

17 ივნისი (საღამოს სხდომა)

მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. **იობიძე** პროფკავშირის 2 ნახ. წლის არსებობაში სარევიზიო კომისიას პირველად უხდება ანგარიშის წარდგენა. პირველ ყრილობას არ აურჩევია სარევიზიო კომისია და, ამიტომ მე 2-ე ყრილობაზე არჩეული კომისია იძულებული იყო გაეკეთებია რევიზია პროფსაბჭოს მოქმედებისათვის 21 წელს და 22 წლის განმავლობაში. სარევიზიო კომისია შესდგებოდა 5 წევრიდან, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო 3 წევრი გამოაკლდა და კომისიაში დარჩა მხოლოდ ორი, რევიზიის სირთულის გამო მოწვეული იქნა სარევიზიო კომისიაში ორი ტექნიკი მომუშავე: ბუღალტერი და მოანგარიშე. სარევიზიო კომისიას მოუხდა რამოდენიმე თვეს მუშაობა, რომლის ერთი მთავარი მიზანი იყო პროფ-კავშირების საქმეთა მოწესრიგება. რევიზია დაიწყო კასიდან. აღმოჩენილი იქნა ცოტაოდენი დეფექტები, 21 წლის ნამოქმედრის განხილვის შემდეგ, მოხდა 22 წლის რევიზია. კასის გასინჯვის შემდეგ, რევიზია შეეხო სამეურნეო განყოფილებას, სადაც აღმოჩნდა უწესრიგობა. ყველა ნივთები სიაში არ ყოფილა შეტანილი, რაც ჩვენი უსწავლელობით და უკულტურობით უნდა აიხსნას კომისიას თვით მოუხდა ნივთების სიების შედგენა და შემდეგი სამუშაო გეგმის მიცემა გამგეობისთვის.

შემდეგ რევიზია შეეხო საფონდო განყოფილებას, სადაც ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა, ოღონდ აქ იყო დაკროვილი 850 სხვა და სხვა გვარი საქონელი, რომლის ფონდიდან დაცლა საჭიროდ იქნა ცნობილი, ნაკლად ჩაითვლება ამ განყოფილებას ისიც, რომ ყველა მომუშავე ბირჟის გარეშე აღმოჩნდა მიღებული. კარგათ აღმოჩნდა დაყენებული შრომის დაცვის განყოფილება. სარევიზიო კომისიამ ადგილობრივ დაათვალიერა დასასვენებელი სახლები, რომლებმაც სამაგალითო შთაბეჭდილება დასტოვეს. დასასრულ, მომხსენებელი ეხება სარევიზიო კომისიის საერთო მდგომარეობას, რომლის კომპეტენციაც გამოურკვეველია. აქამდე სარევიზიო კომისიას არა აქვს წესდება. არსად არ არის ნაჩვენები, სად არის სარევიზიო კომისიის უფლება-მოვალეობის საზღვარი. სარევიზიო კომისიას განზრახვა ჰქონდა კულტგანყოფილების გასინჯვის, მაგრამ ნება არ მისცეს იმ მოსაზრებით, თითქოს სარევიზიო კომისია მხოლოდ სამეურნეო საადმინისტრაციო საკითხებს უნდა ეხებოდეს. ცენტრ. სარევიზიო კომისიას განზრახვა ჰქონდა მოეწვია ყველა სარევიზიო კომისიის პლენუმი, მაგრამ წესდების უქონლობის გამო ვერ მოიწვია. აგრეთვე სარევიზიო კომისია ჰფიქრობდა ცენტრალურ გამგეობათა რევიზიას, მაგრამ ამის ნება არ მისცეს. მასების სრულ ნდობის და ავტორიტეტის გასამართლებლად და აგრეთვე პროფკავშირების განკარგულებაში მყოფ თანხების მიზანშეწონილ მოხმარების მიზნით, სარევიზიო კომისიის სახელით მომხსენებელი წინადადებას იძლევა შეიქმნას საფინანსო სამეურნეო ორგანოების მუდმივი სათვალყურო-საკონტროლო ორგანო, რომელიც პროფკავშირებისთვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მაგვარი იქნება.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ იწყება შეკითხვები. ამხ ოლონტი ყურულაშვილის საპასუხოთ აცხადებს, რომ მომხსენებელი არ შეხებია მაზრების ბიუროთა მოქმედებას. მაზრებს ცენტრიდან ყურადღება არ ეძლევა. საჭიროა ამის გამოსწორება. არ არის პროფესიონალურ გაზეთების პროვინციაში გავრცელების საქმე ხეიროვნად დაყენებული. არ არის აგრეთვე ხელფასის თავის დროზე მიცემის საკითხი პროვინციაში დასასვენებელ სახლებით პროვინცია. ნაკლებ სარგებლობს. ამხ. ფედოროვი ეხება საქონლის მანეთის გამონაგარიშებას და აღიარებს მას არა რეალურ ღირებულებათ. ახალგაზრდა ამხ. აკოპოვი უსაყვედურებს პროფ.-საბჭოს, რომ იგი უფრო იცავდა სამეურნეო ორგანოებს, ვიდრე ახალგაზრდობის ინტერესებს, იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობაში მუშაობას. საბჭო სრულიად არ ზრუნავდა პროფტექნიკურ განათლების მოწყობის შესახებ და არც ხელს უწყობდა ახალგაზრდობის მოქმედებას ამ მიმართულებით.

ამხ. ბახტიაროვს პროფკავ. საბჭოს მოქმედება მიაჩნია სავსებით დამაკმაყოფილებლად. მისგან ჩინებულად, არის გატარებული სრულიად რუსეთის მე 5 ყრილობის მიერ გამომუშავებულ სამოქმედო გეგმა ყველა სფეროში.

ამხ **კილახონიძე** ეხება შტატის შემოკლებას და გასინჯვის საკითხებს.

ამხ. **იზრაილი** ლაპარაკობს პროფკავ. საბჭოს ნაკლზე იმ მხრივ, რომ მან ვერ დააყენა პროფესიონალურ მუშაკთა მომზადების საქმე სათანადო ნიადაგზე.

ამხ. **გინზბურგი** უპასუხებს ახალგაზრდების წარმომადგენლებს აკოპოვს და სარქისოვს და აღნიშნავს, რომ პროფ.-საბჭ საქმის წარმოებას მიზანი არ ჰყოფს ახალგაზრდობის საკითხს ცალკე და უკავშირებს მას საერთოდ მუშათა მდგომარეობას და წარმოების ვითარებას.

დასასრულ საბოლოო საპასუხო სიტყვას ამბობენ მომხსენებელი ყურულაშვილი და იობიძე, რის შემდეგაც სხდომა 8 ნახ. საათ. იხურება.

რადიო-დეპეშები

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვა.

მოსკოვი 16 ივნისი. კომინტერნის პლენუმის დილის სხდომაზე ამხ. ზინოვიევმა წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა.

ანტისარწმუნოებრივი კამპანია.

„ხეგლუნდი, ამბობს ზინოვიევი, უკმაყოფილოა იმით, რომ მე ძალიან დიდხანს შევჩერდი სკანდინავიის და სარწმუნოების საკითხებზე. მაგრამ ის მოულოდნელი დისკუსია, რომელიც გაიმართა რელიგიის საკითხის ირგვლივ, ძალიან სასარგებლოთ აღმოჩნდა ხეგლუნდი შეეცადა საქმე იმ გვარად დაეხატა, თითქოს ის, რომ ჩვენ არ გვაქვს განზრახული ეხლავე ვაწარმოვოთ ანტისარწმუნოებრივი კამპანია დასავლეთში, არის მისი გამარჯვება. **მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ ლაშქრობას რელიგიის წინააღმდეგ** ჩვენ მშვენივრათ ვიცით, რომ გერმანიაში, ინგლისსა და ირლანდიაში მოიპოვება პროლეტართა განსაზღვრული რაოდენობა, რომელნიც სარწმუნოებრივად აზროვნებენ და ჩვენ არ გვიფიქრია მათი გამორიცხვა. რუსეთში კი სულ სხვა მდგომარეობა არსებობს **აქ ჩვენი პარტიაა სახელმწიფოს სათავეში და ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილი მისი სიწმინდის დაცვაში.**

შემდეგ ამხ. ზინოვიევს მოჰყავს ხეგლუნდის წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „რამდენადაც ეს არ შეეხება პოლიტიკურ პროგრამას, **ცალ-ცალკე კომუნისტებს, როგორც კერძოთ პირებს, აქვთ უფლება აწარმოვონ სარწმუნოებრივი და ანტისარწმუნოებრივი კამპანია — ეს მათი უფლებაა**“.

ეს სრული სიმართლეა, ამხ. ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს სწერდა, რომ სარწმუნოება უნდა იყოს სახელმწიფოს კერძო და არავითარ შემთხვევაში არა პარტიის საქმე. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ პარტიის წევრთაგან პროგრამის ასრულება, არამედ მარქსისტული მსოფლ-მხედველობაც.

ნორვეგიის კომპარტიის შესახებ.

რაც შეეხება ნორვეგიის ამხანაგებს, მათი გამოსვლები ატარებდა შემარიგებელ ხასიათს მაგრამ უნდა გვახსოვდეს კონფლიქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 21 პუნქტის გამო.

2 წლის შემდეგ ნორვეგიის პარტიის ცკამ გამოიტანა დადგენილება კომინტერნიდან გამოსვლის შესახებ. **კომინტერნი სასტუმრო კი არ არის არამედ ბრძოლის ორგანიზაცია, რომლის წევრები შეკავშირებული არიან ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოთ.** ნორვეგიის ამხანაგების თვალსაზრისი სწორი არ არის პროფკავშირთა საკითხში: ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ პროფკავშირები არ შედიან არც პროფინტერნში და არც ამსტერდამის ინტერნაციონალში. იმ დროს, როდესაც ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო გაერთიანება მუშაობს პროფინტერნთან ერთად, ნორვეგიის პროფკავშირების მიერ დაკავებული პოზიცია სწორი არ არის.

ცენტრალიზმის შესახებ.

რაც შეეხება ცენტრალიზმს, ლედებურიც კი ამბობს, რომ **ინტერნაციონალმა უნდა განსაზღვროს პოლიტიკური ხაზი, ხოლო ცალკე პარტიებმა უნდა გაატარონ იგი.** ამხ. კორიჩნერმა, მიგვითითა რა მუშათა პრიმიტიულ ინტერნაციონალიზმზე, კარგი სამსახური გაგვიწია ჩვენ. მუშათა ინტერნაციონალიზმი არბიტიული ხასიათის მოვლენა კი არ არის, არამედ სრულიად საღი გრძნობაა, რომელიც დახმარებას გაგვიწევს ჩვენ წინ მსვლელობისათვის. მუშები უნდა იყონ ინტერნაციონალისტები, მაგრამ პარტიას უნდა შეეძლოს უკმაყოფილო ნაციონალურ ელემენტების მიმხრობა, რომელიც დიდ როლს თამაშობენ პოლიტიკაში.

ჩეხო-სლოვაკიის შესახებ.

უპასუხებს რა ზაპოტოცკის, ამხ. ზინოვიევი ამბობს, რომ ჩეხო-სლოვაკიაში ამ ჟამად დიდი ეკონომიური კრიზისია, იქ უმუშევრობა. პარლამენტში მერყევი მდგომარეობაა. ამიტომ დიქტატურის ლოზუნგის წამოყენების შესაძლებლობა უიმედოა საქმე ეხება იმას, როგორი სახით, უნდა წამოვაყენოთ ეს ლოზუნგი.

ბულგარეთის ამბების გამო.

ეხება რა ბულგარეთში მომხდარ ამბებს, ამხ. ზინოვიევი აღნიშნავს, რომ ბულგარეთის პარტიის ცეკა სწორედ ვერ მოიქცა, როდესაც აუკრძალა კომუნისტებს პლევნაში აქტიურად გამოსულიყვნენ მთავრობის წინააღმდეგ, იმ მოსაზრებით, რომ სტამბულინსკი ამზადებდა წინააღმდეგობას. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ წყეული სტამბულინსკიც კი.

ქალთა განწყობილება ჩვენ სასარგებლოთ იცვლება.

მუშურ-გლეხურ მთავრობის საკითხში გამოარკვა ერთსულოვნობა. ეს ლოზუნგი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა მივიდეთ გლეხთა მასებთან.

„უკანასკნელი ამბები მუშათა მოძრაობაში, ათავებს სიტყვას ამხ. ზინოვიევი, მოასწავებს იმას, რომ ქალთა განწყობილება ჩვენ სასარგებლოთ იცვლება. ჯერ კიდევ მე-5 კონგრესამდე შეიძლება მოხდეს გადამწყვეტი ამბები. მახვილი მხედველობა, მტკიცე ხელი, ერთგულება ინტერნაციონალისადმი — და ჩვენ მივაღწევთ დიდ გამარჯვებას“.

საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. რადეკის მოხსენება.

მოსკოვი. 16 ივნისი. 15 ივნისს დილის სხდომაზე პლენუმი გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხზე — საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

სიტყვა ეძლევა ამხ. რადეკს.

„საერთაშორისო მდგომარეობა, — ამბობს ამხ. რადეკი, — უკანასკნელი კონგრესის შემდეგ დიდათ შეიცვალა. განვლილი ექვსი თვის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები შემდეგია: ინგლის-ამერიკის შეთანხმება ინგლისის მიერ ვალების გადახდის შესახებ, რურის ოკუპაცია, ლოზანას კონფერენცია, რუსეთ — ინგლისის კონფლიქტი და ახლო აღმოსავლეთის შესახებ ვაშინგტონის ხელშეკრულების გაუქმება. ყველა ეს ფაქტები ურთიერთ შორის მტკიცე კავშირში იმყოფებიან.

ევროპის რესტავრაციის პროტესტი და ლოიდ-ჯორჯის შეცდომა.

თავის დროზე ლოიდ-ჯორჯმა წამოაყენა ვალების შესახებ შეთანხმების პროექტი. პროექტის თანახმად უნდა შემცირებულიყო საფრანგეთის (გამოტოვებულია), საფრანგეთის თავის მხრივ უნდა შეემცირებია გერმანიისათვის წარდგენილი მოთხოვნილებები, ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება ნიშნავდა ევროპის კაპიტალიზმის რესტავრაციას. მაგრამ ლოიდ-ჯორჯმა თავის გეგმებს ჯამი გაუკეთა ისე, რომ ანგარიშში არ მიიღო ამერიკა და რუსეთი. ამას გარდა ლოიდ-ჯორჯის გეგმაში შეიპარა სხვა ბევრი შეცდომები. **რადგან საფრანგეთის საჰაერო ფლოტი ბევრათ სჭარბობს ინგლისისას, უკანასკნელმა დაჰკარგა თავისი სამხედრო უპირატესობა.** თავის დასაცავად მან მიმართა უდიდეს პროვოკაციას საფრანგეთის მიმართ. **ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ ის იცავს ნეიტრალიტეტს რურის საკითხში თავის ელჩის საშვალებით კი ბერლინში ინგლისი აქეზებდა გერმანიას წინააღმდეგობა გაეწია საფრანგეთისათვის და პირდებოდა, რომ გადამჭრელ მომენტში ინგლისი მხარს დაუჭერს გერმანიას. ინგლისის მიზანია მთავარი როლი მიიღოს რკინისა და ნახშირის ტრესტში,** ამისათვის კი საჭიროა პუანკარეს დამარცხება. მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიამ გააფუჭა ინგლისის გეგმა, როცა რურსა და გერმანიას მოედვა გაფიცვების ტალღა, გერმანელმა ლიუტერბურგმა სთხოვა ფრანგ გენერალ დეგუტს დახმარებოდა მათ გაფიცულების წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიის ბურჟუაზიამ დაიწყო სპეკულიაცია პროლეტარიატის ხარჯზე. გერმანიის დასუსტების გამო, ინგლისმა დაკარგა ერთი თავისი მთავარი ბაზარი. ამის გამო ინგლისში გაიმარჯვა მიმდინარეობამ, რომელიც ფიქრობს, რომ ხსნა კოლონიებშია.

კერზონის შეცდომა

ამ მიმდინარეობის მაგალითია კერზონის ნოტა რუსეთისადმი. ლოიდ-ჯორჯის იმედები, დამყარებული სამოქალაქო ომზე, სიმშილზე და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, არ გამართლდენ, ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უფრო განამტკიცა რუსეთში არსებული წესწყობილება. კერზონს სურდა სწორეთ ახლა წამოექცია რუსეთი, რადგან ის დღითი დღე ძლიერდება. ინგლისმა შეადგინა ეს გეგმა, მაგრამ დაივიწყა, რომ რ. კ. პ. 25 წელიწადია არსებობს.“

ევროპა ნგრევის პროცესში.

აკეთებს რა დასკვნას, ამხ. რადეკი ამბობს: **„ევროპის აღდგენის“ გეგმა სრულიად გაკოტრდა.** თუ ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყნებს ემჩნევა გარდამავალი ეკონომიური წინსვლა, ევროპის კონტინენტი კვლავ ნგრევის პროცესში იმყოფება და დიდი ბრძოლების წინაშე სდგას. მსოფლიოში ერთად-ერთი პროლეტარული ქვეყანა ახლა დიდ საფრთხეში იმყოფება, რადგან ის გამაგრდა და დაამსხვრია კონტრ-რევოლიუციის იმედები“.

კამათი ამხ. რადეკის მოხსენების გარშემო

(დილის სხდომა).

მოსკოვი. 17 ივნისი. 16 ივნისს დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. რადეკის მოხსენების გარშემო.

ნეირატმა (ჩეხო-სლოვაკეთი) აღნიშნა რურის საკითხის მნიშვნელობა და შემდეგნაირათ დაახასიათა გერმანიის პროლეტარიატის საფრანგეთის იმპერიალიზმთან ბრძოლის ეტაპები: **მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნა და კავშირი საბჭოთა რუსეთთან.**

როი (ინდოეთი) მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას კომინტერნის მხრივ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ინგლისის პარტიის მხრივ. როი საჭიროთ სთვლის პრაქტიკული ღონისძიებებისათვის მიმართვას. კოლონიებში ნაციონალური მოძრაობისათვის რეალური დახმარების აღმოჩენა — კომპარტიების მორიგ ამოცანას შეადგენს. მხოლოდ ამით შეიძლება აღმოსავლეთის ქვეყნებში კომუნისტური რევოლიუციის წინაშე შიშის აღმოფხვრა.

ჯექსონი (ინგლისი) ეხება კოლონიების მნიშვნელობას ინგლისისათვის და მიაქცევს კომინტერნის ყურადღებას აღმოსავლეთის ახალგაზრდა პროლეტარიატში კლასობრივი ტენდენციების ზრდაზე. ეს კლასობრივი ტენდენციები ძლიერდება. ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ჯექსონს საჭიროთ მიაჩნია კომინტერნის ტაქტიკა ნაციონალურ საკითხში გატარდეს ირლანდიის მიმართაც, ის საჭიროდ სთვლის აგრეთვე ინგლისის მუშათა კლასში ფართე პროპაგანდის წარმოებას დიდი ბრიტანეთის კოლონიალური პოლიტიკის შესახებ.

გერნლე და ბეტხევი ლაპარაკობენ გერმანიის მდგომარეობის შესახებ.

ტრახტენბერგი (ამერიკა) აღნიშნავს, რომ კომინტერნმა უნდა მოიწვიოს ამერიკის კაპიტალის უღელქვეშ მყოფ ქვეყნების პარტიების კონფერენცია. ამ კონფერენციაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს პროფინტერნმა.

სენ კატაიამა (იაპონია) ამბობს, რომ **ციმბირის ინტელიგენციამ ხელი გაუტეხა იაპონიის მთავრობას.** იაპონია იძულებულია ეძიოს დაახლოება საბჭოთა რუსეთთან. იაპონიის მშრომელები მოითხოვენ რუსეთთან შეთანხმებას. იაპონიაში მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობას ბრწყინვალე პერსპექტივები აქვს.

ბრეიდი (პოლონეთი) ამბობს, რომ პოლონეთი ანტანტის იარაღიაო. პოლონეთის მთავრობის ნაციონალისტურმა პოლიტიკამ საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა ამ ქვეყნის მუშები და გლეხები. ერთად-ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი, რაც ნიშნავს კავშირს საბჭოთა რუსეთთან, საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმას და დამონებული ერების განთავისუფლებას.

მალაკა (ჰოლანდიის ინდოეთი) ეხება კაპიტალის აღმოსავლეთში გადასვლის ტენდენციას და მიუთითებს იაპონიასა და ამერიკის ინტერესების სხვადასხვაობაზე შორეულ აღმოსავლეთში, სადაც თანდათანობით ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობა. კომინტერნი უნდა დაეხმაროს ნაციონალურ და პროლეტარულ პარტიებს აღმოსავლეთში და დაამყაროს კავშირი აღმოსავლეთის მოძრაობასა და ევროპის პროლეტარიატის შორის.

(საღამოს სხდომა).

მოსკოვი. 17 ივნისი. საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. რადეკის მოხსენების გარშემო.

ნიუბოლდი. (ინგლისი) ინგლისის კომპარტიისათვის მეტად ძნელი იყო აგიტაციის წარმოება რურის ოკუპაციის შესახებ, რადგან ამ. ოკუპაციამ გაადიდა მოთხოვნილება ინგლისის ნახშირზე, რამაც შეამცირა უმუშევართა რიცხვი.

მაგრამ რურის ინტერნაციონალიზაცია საშვალებას მისცემს ინგლისის მრეწველებს მიიღონ რურიდან იაფი ნახშირი, რაც საშინელ მდგომარეობაში ჩააგდებს ინგლისის მუშებს და გააძლიერებს მათში რევოლიუციონურ განწყობილებას. ბრიტანეთის მუშები საჭიროებენ კოლონიების პურს, მაგრამ ისინი მუდამ საფრთხეში იმყოფებიან, რადგან ინგლისელ ბანკირებს ყოველ დღე შეუძლიათ პურის მიწოდების შეწყვეტა. ამიტომ ინგლისის კომუნისტებმა უნდა წამოისროლონ ლოზუნგი: „ინგლისის მანქანები და ნახშირი რურის პურის სამაგიეროდ“, ეს ლოზუნგი გასაგები იქნება მუშებისათვის.

ტიბო (საფრანგეთი). „პუანკარემ განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია დადებითი შედეგებს გამოიღებს. ამავე დროს ის აპირებს მახვილი ჩასცეს საფრანგეთის კომპარტიას, მაგრამ პუანკარე დამარცხდა. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ შეასრულა თავისი მოვალეობა. ესსენის კონფერენციის შემდეგ მოხდა დაახლოება შრომის გაერთიანებულ კონფედერაციასთან და ერთიანი ფრონტის ცხოვრებაში გატარებას უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა. საფრანგეთის მშრომელმა მასებმა უფრო ნათლათ შეიგნეს თუ რა საფრთხეში აგდებს მათ იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა აწარმოებს რურში.

პუანკარეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა დამარცხდა.

ტიბო აღნიშნავს, რომ პუანკარეს დამარცხებამ უფრო გააძლიერა მშრომელთა წინააღმდეგობა და გამოიწვია განხეთქილება თვით ბურჟუაზიის ბანაკში.

ამხ. ვოროვსკის ხსოვნისათვის.

ოტშარტი (ინგლისი) იძლევა წინადადებას დაწესებული იქნეს სტიპენდიები სტუდენტებისათვის და გამოიცეს ბროშიურები აღმოსავლეთის ენებზე ამხ. ვოროვსკის ხსოვნის აღსანიშნავად. დეე, ბურჟუაზიამ დაინახოს, რომ თითეული და ბრძოლის ველზე დაცემული ამხ. მაგივრად ჩვენ ვზრდით და ბრძოლის ველზე გამოგვყავს ასეულები.

ოტშარტის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკეთის, ჩრდილო-ამერიკის და იაპონიის პარტიების დელეგატები თანხმობას აცხადებენ სტიპენდიებისათვის საჭირო თანხების გაღებაზე.

ამხ. რადეკის საბოლოო სიტყვა

პასუხი არსებითად.

ამხ. რადეკი ეხება ამხ. ნეირატის და ტიბოს სიტყვებს. „ეს ამხანაგები ღია კარებში აკაკუნებენ, როცა ამტკიცებენ, რომ კომუნისტები არ უნდა წავიდენ შეთანხმებაზე კუნოს მთავრობასთან. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ევროპაში ახლა შექმნილ სიტუაციაში ის არის, რომ მსხვილი სამრეწველო ქვეყანა დამარცხდა და ახლა ის ნახევრად კოლონიად არის გადაქცეული. გერმანიის პროლეტარიატი უარს ამბობს ვერსალის ხელშეკრულების სიმძიმის თავისი მხრებით გადატანაზე და თუ გერმანიის ბურჟუაზიას სურს, რომ პროლეტარიატმა ის დაამხოს, მაშინ მან უნდა იბრძოლოს ვერსალის ზავის წინააღმდეგ. ისინი ასეც მოიქნენ.

პუანკარეს გამარჯვება გამოიწვევს რეაქციის გაძლიერებას მთელ ევროპაში, მისი დამარცხება ნიშნავს ვერსალის ხელშეკრულების გაუქმებას. ამიტომ გერმანიის პარტიას უნდა ეთქვა: გერმანიის პროლეტარიატი მთელი ქვეყნის, მათ რიცხვში საფრანგეთის პროლეტარიატთან ერთად დაინტერესებულია პუანკარეს დამარცხებაში. არის თუ არა ეს სოციალ-პატრიოტიზმი? ნეირატმა მხედველობიდან გაუშვა ის, რაც გაითვალისწინა გერმანიის კომპარტიამ. მან ვერ დაინახა განსხვავება გერმანიის ნაციონალურ და ნაციონალურ-რევოლიუციონურ ინტერესებს შორის, რევოლიუციონურ-ნაციონალური ინტერესები ეთანხმებიან პროლეტარიატის ინტერესებს. საფრანგეთის მუშებისა და გლეხებისათვის რურის საკითხი უფრო მარტივად დგას: ან გერმანია იხდის ვალებს ან გადასახადები საფრანგეთში უსაზღვროდ გაიზრდება. საფრანგეთის კომპარტია, რასაკვირველია ხელოვნურად ვერ შექმნის მოძრაობას, მაგრამ მასიური მოძრაობა თავის დროზე დაიწყება. გერმანია, რომც მოინდომოს, ახლო წლების განმავლობაში, ვერ გადაიხდის ვალებს.

რუსეთი და ინგლისი

შთაბეჭდილება რუსეთის ნოტისაგან.

პარიზი. 14 ივნისი. **საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ საუკეთესო შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა რუსეთის ნოტამ ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე.** ინგლისში დარწმუნებული არიან, რომ **რუსეთის მთავრობისაგან მიღებული პასუხი ბოლოს მოუღებს რუსეთ-ინგლისის კონფლიქტს.**

„ჰუმანიტე“ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გამო სწერს: **„თავის ძლევამოსილობაში დარწმუნებულ ინგლისს სურდა ომი, მაგრამ დამარცხდა.** კაცმა ნათელი გონებით, მტკიცე და ამავე დროს რბილი ხასიათით, სახელათ ჩიჩერინმა, დაამარცხა ის“.

კლარა ცეტკინი მოსკოვში

მოსკოვი. 16 ივნისი. კლარა ცეტკინი მოსკოვში ჩამოვიდა, სადაც დარჩება რამდენიმე დღე. შემდეგ კი, ავადმყოფობის [illegible] რჩევით, მიემგზავრება სამკურნალოდ კავკასიის [illegible]

საკონტრიბუციო საკითხი

პუანკარე იმუქრება.

ბერლინი. 16 ივნისი. ინგლისის ცნობები სხვა გვარად აშუქებენ საფრანგეთის განცხადებას კერზონის ნოტის შემდეგ, საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობის შესახებ. ამ ცნობებშია, რომ **პუანკარე იმუქრება საფრანგეთის ანტანტიდან გასვლით,** თუ ბრიტანეთის მთავრობა კვლავ არ მოისურვებს საფრანგეთთან შეერთებას მის მოთხოვნილებაში, რომელიც შეეხო გერმანიის მიერ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტას. პუანკარემ განაცხადა, რომ ის მზად არის შეხვდეს ბალდვინს პარიზში, მაგრამ უარს ამბობს მიიღოს მონაწილეობა რომელიმე კონფერენციაზე მანამდე, სანამ თათბირების გზით მოკავშირეების პოზიცია გერმანიის მიმართ არ იქნება გამორკვეული. ამის გამო „დეილი გერალდ“-ი ამბობს, რომ **საფრანგეთის მთავრობა ემუქრება ბალდვინს სწორედ ისე, როგორც ის ემუქრებოდა ბონარ ლოუს და ლოიდ-ჯორჯს.** კერზონი ყოველივე ზომებს ხმარობს, რათა თავიდან აიცილოს განხეთქილება საფრანგეთ-ინგლისს შორის.

პასიური წინააღმდეგობის გარშემო.

ბერლინი. 16 ივნისი. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, ბრიტანეთის მთავრობა მოსთხოვს გერმანიის დამატებით განმარტებებს უკანასკნელი მემორანდუმის და უმთავრესად იმ დათმობათა შესახებ, რომელთაც მოელის გერმანია, მიშვალ ოფიციალურ ბრძანებასთან დაკავშირებით პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. „დეილი ნიუს“-ი აფრთხილებს პარიზს იმ მოლოდინიდან, რომ ლონდონი თანახმა იქნება მოითხოვოს გერმანიისაგან პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა, ყოველგვარი პირობის გარეშე.

იტალიის პასუხი.

ბერლინი. 16 ივნისი. რომიდან იტყობინებიან, რომ **იტალიის მთავრობამ შეადგინა პასუხი გერმანიის მემორანდუმზე, რომელიც ეცნობა ლონდონსა და პარიზს.**

შეიძლება დახმარება გაუწიონ.

ბერლინი. 16 ივნისი. „ტანი“ მოითხოვს, რომ საკონტრიბუციო საკითხის განხილვის დროს მოწვეულ იქნენ მცირე ანტანტა და შეერთებული შტატები, თუმცა ეს უკანასკნელნი აწარმოებენ კიდეც გერმანიასთან უშუალო მოლაპარაკებას.

გადატრიალება ბულგარეთში

მთავრობის რეორგანიზაცია.

ვენა. 16 ივნისი. იტყობინებიან, **რომ ბულგარეთის მთავრობაში ახალი ცვლილებები მოხდება. მთავრობაში შევა ორი მენშევიკი და აგრეთვე კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელგანთქმული დეპუტატი პასტუხოვი.**

კომუნისტების დევნა.

ვენა. 16 ივნისი. **რუმინეთის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ბულგარეთის მთავრობამ სასტიკი დევნა დაუწყო კომუნისტებს. სოფიაში, კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე მთავრობის ჯარმა ჩხრეკა მოახდინა.** კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო „რაბოტნიჩესკი ვესტნიკ“-ი მოუწოდებს მუშებს, ბრძოლა გამოუცხადონ ახალ მთავრობას, რომელიც სამხედრო დიქტატურას ამყარებს.

სტამბულინსკი მოკლეს.

რომი. 15 ივნისი. **სტამბულინსკი შეიპყრეს სლავონიცის მახლობლად იუსტიციის ყოფილ მინისტრთან დუბარინოვთან და რამოდენიმე დეპუტატებთან ერთად.**

სოფიიდან იტყობინებიან, რომ სტამბულინსკი, გაქცევის ცდის დროს, მოკლულ იქნა.

ბულგარეთი და რუმინია.

ვენა. 15 ივნისი. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბულგარეთის წარმომადგენელმა გენერალმა ფიჩევმა გადასცა რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრს დუკას ტანკოვის დეკლარაცია ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის ამოცანების შესახებ. ამის საპასუხოთ დუკამ აღუთქვა ბულგარეთის მთავრობას მორალური დახმარება რუმინიის მხრივ.

ახალი მთავრობის მოქმედება.

ვენა. ვენის პოლიტიკურ წრეების ცნობით, **ბულგარეთის ახალ მთავრობის მდგომარეობა განმტკიცდა.** გლეხთა დაურაზმავი და სპორადიული წინააღმდეგობა დაძლეულია. გადატრიალებისათვის მოხერხებული დროის შერჩევის და აგრეთვე აგრარიების პარტიის თითქმის ყველა ლიდერების თავის დროზე დაპატიმრების გამო.

ახალი მთავრობის საგარეო მდგომარეობა აგრეთვე განმტკიცდა. მცირე ანტანტის 15 ივნისისათვის დანიშნული ჩარევა, ბელგრადში მყოფ ინგლისის ელჩის ზეგავლენით გადადებულია.

შეტაკებანი გლეხებთან.

ვენა. 16 ივნისი. სამხრეთ-სლავიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, **გლეხებთან ბრძოლაში მოკლულია 10000 კაცზე მეტი, ბულგარეთის მთავრობის ოფიციალური ცნობის თანახმად კი მოკლულთა რიცხვი უდრის 500 — 600 კაცს. ცალ-ცალკე შეტაკებანი გრძელდება;** მაგრამ სტამბულინსკის მოკვლის შემდეგ წინააღმდეგობა დაძლეულად უნდა ჩაითვალოს.

ახალი მთავრობის სამხედრო ძალები.

ვენა. 16 ივნისი. სამხრეთ-სლავიის გაზეთები იუწყებიან, რომ **ცანკოვის მთავრობამ მოხალისეთა მობილიზაცია გამოაცხადა. ეხლა მთავრობას თოფქვეშ ჰყავს 70.000 კაცი.**

სტამბულინსკის მომხრენი თავგამოდებით იბრძვიან.

ვენა. 16 ივნისი. რუმინეთის გაზეთების სიტყვით, ახალმა მთავრობამ მხოლოდ სოფიაში მოიმაგრა ფეხი. პროვინციაში კი, განსაკუთრებით ვარნასა და პლევნაში, სტამბულინსკის მომხრეები თავგამოდებით იბრძვიან.

სტამბულინსკის მოკვლის დაწვრილებითი ცნობები.

რომი. 18 ივნისი. ბულგარეთის სააგენტო სოფიიდან იტყობინება, რომ სტამბულინსკი ტყვედ ჩაგდების შემდეგ ჩაყვანილ იქნა მთავრობის ჯარების მთავარსარდალთან, რომლის განკარგულების თანახმად ის ავტომობილით გაგზავნილ იქნა უახლოეს ქალაქში **სადაც ხალხს უნდოდა ყოფილ პრემიერის მოკვლა.** ექსცესების თავიდან ასაცილებლად სტამბულინსკი გაგზავნილ იქნა უკანვე სლავონიცაში. მგზავრობის დროს შეიარაღებულმა გლეხებმა იერიში მიიტანეს ავტომობილზე, რომელშიაც სტამბულინსკი იჯდა; სტამბულინსკიმ გაქცევა მოახერხა. საჩქაროდ გამოცემულ იქნა ბრძანება მისი მონახვასა და სოფიაში ჩაყვანის შესახებ. დევნის დროს სტამბულინსკის რამოდენიმეჯერ ესროლეს, რითაც ის მოკლულ იქნა. მოყავს რა ეს ვერსია, მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს მკვლელობის გამო და დაპირებას იძლევა სასტიკი გამოძიება მოახდინოს ამ საქმის შესახებ.

გლეხების აჯანყება გრძელდება.

პარიზი. 18 ივნისი. **იმ ცნობების საწინააღმდეგოდ, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთებში გლეხების აჯანყების ჩაქრობის შესახებ, ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ გლეხების აჯანყება გრძელდება.**

დადგა მაკედონიის განთავისუფლების დრო.

ბერლინი. 15 ივნისი. სამხრეთ-სლავიის სამხრეთ-ნაწილში კომიტაჯიაში გამოცხადებულია, რომ „დადგა მაკედონიის განთავისუფლების დრო“.

დამოკიდებულება შეწყვეტილია.

რომი. 15 ივნისი. სატელეგრაფო დამოკიდებულება ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის კვლავ შეწყვეტილია.

დეპეშები ევროპიდან ოსმალეთში იგზავნება სამხრეთ-სლავიის საშუალებით.

სერიოზული შედეგები.

რომი. 15 ივნისი. სარწმუნო ცნობების თანახმად ბულგარეთის დიპლომატიური წრეები ფიქრობენ, რომ **სოფიის გადატრიალებას მოჰყვება სერიოზული შედეგები. სამხრეთ-სლავიიდან მიღებულ ცნობებით, იქ მოსალოდნელია მობილიზაცია. გადმოგვცემენ, რომ იტალია არ დაუშვებს სამხრეთ-სლავიის საყოველთაო მობილიზაციას.** სოფიას გადატრიალების შესახებ არსებობს ორი ვერსია: 1) სტამბულინსკის საიდუმლო შეთანხმება ჰქონდა ბელგრადთან ურთი-ერთი დახმარების შესახებ, 2) სამხრეთ-სლავიას ეშინია ბულგარეთის ახალი მთავრობის მის ტერიტორიაზე თავდასხმის მაკედონელების ოსმალოების დახმარებით. იტალიის განზრახვა არ დაუშვას სამხრეთ-სლავიაში მობილიზაცია დამყარებულია იმაზე, რომ იგი უჯერის პირველ ვერსიას და მეორე კი დაუსაბუთებლად მიაჩნია. სხვა ცნობების თანახმად, მთაშავეთი, მაკედონია და კროაცია, ბულგარეთის დახმარებით, ემზადებიან ბელგრადზე თავდასასხმელად, წაუყენეს რა მოთხოვნილება სერბიის საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ, რომელთა იქ ყოფნა ლახავს მათ დამოუკიდებლობას.

ბუქარესტიდან მიღებულ ცნობების თანახმად, რუმინიას განზრახული აქვს წინასწარ შეუთანხმდეს ბულგარეთის ახალ მთავრობას.

ამხ. ვოროვსკის მოკვლის გარშემო

შვეიცარიის საგამომძიებლო კომისიაში.

ბერლინი. 14 ივნისი. საქმე ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ ირჩეოდა შვეიცარიის ნაციონალური საბჭოს საგამომძიებლო კომისიაში. ნაციონალური საბჭოს წევრის სოციალისტი ნეინის შეკითხვაზე, ქონდა თუ არა ვოროვსკის ვიზა, მოტამ დადებითი პასუხი მისცა და განაცხადა, რომ ვიზა მისცა შვეიცარიის საელჩომ.

ჩიჩერინის ნოტა გამოაქვეყნეს.

ბერლინი. 14 ივნისი. შვეიცარიის გაზეთებმა შეუმოკლებლათ მოათავსეს ჩიჩერინის ნოტა შვეიცარიის მთავრობის სახელზე ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ.

სიმართლე სთქვა.

ბერლინი. 14 ივნისი. **შვეიცარიის კონსულმა რიგაში თავისი მთავრობის შეკითხვაზე რუსეთში მყოფ შვეიცარიის მოქალაქეთა მიმართ რეპრესიების შესახებ უპასუხა, რომ რეპრესიებს ადგილი არ ქონია.**

რურის ოლქის ოკუპაცია

ოკუპაცია ფართოვდება.

ბერლინი. 16 ივნისი. ფრანგები დიდძალ ჯარს აგროვებენ რურის სამხრეთ ნაწილში. ფიქრობენ, რომ ამას მიზნად აქვს ოკუპაციის გავრცელება ახალ რაიონებზე.

ესსენი მოწყვეტილია.

ბერლინი. 16 ივნისი. ფრანგებმა დაიჭირეს სადგურები კრეიცი და ვატენშეიდი, რითაც სრულებით მოწყვიტეს ესსენი ყველა რკინის გზებს.

გადასახლება გრძელდება.

ბერლინი. 16 ივნისი. ფრანგები განაგრძობენ რკინისგზელთა გადასახლებას ესსენიდან. შეიძლება გატანა მხოლოდ ქაღალდში შეხვეულ ბარგის. გადასახლებულთა რიცხვში არის ფეხ-მძიმე ქალი შვიდი ბავშვებით. ერთმა მოხუცებულმა ითხოვა გადასახლების გადადება შვილისშვილის დასაფლავებამდი: თხოვნა არ იქნა შეწყნარებული.

მოკავშირეები დაიბნენ.

ლონდონი. 14 ივნისი. ინგლისის კაბინეტს კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება რურის საკითხის შესახებ. ინგლისის გაზეთები გაკვირვებული არიან მით, თუ საფრანგეთის პრესას საიდან შეეძლო მიეღო ცნობები იმის შესახებ, თითქოს ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს აცნობოს საფრანგეთს, რომ ინგლისს არ სურს შეუერთდეს მოთხოვნილებას გერმანიის მიერ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. კომუნისტურ წრეებში ფიქრობენ რომ საფრანგეთის გაზეთები ცდილობენ პროვოკაციის ანკესზე წამოაგონ ინგლისის მთავრობა, რათა მას უარეყო ცნობები. ეს კი სავსებით ვერ შესძლეს; ლიბერალებმა მაშინვე პროტესტი განაცხადეს ინგლისის მთავრობის მიერ ცნობების ამ სახით გამოქვეყნების წინააღმდეგ და უკანასკნელი დაკმაყოფილდა მხოლოდ საფრანგეთის ცნობების უბრალო უარყოფით.

არ სურთ დათმობა.

ლონდონი. 14 ივნისი. ბალდვინის პასუხს მუშათა პარტიის წევრის ბაკსტონის შეკითხვაზე, რომ მთავრობის თვალსაზრისი რურის საკითხში უცვლელია და ბაკსტონის მიერ გათვალისწინებული დეკლარაცია არ არის მოსალოდნელი, განმარტავენ, როგორც ინგლისის მთავრობის დაუთმობლობას საფრანგეთის მოთხოვნილების მიმართ.

ბრიტანეთის მემორანდუმი.

ლონდონი 15 ივნისი. ინგლისის მთავრობის მიერ საფრანგეთისა, ბელგიისა და იტალიის მთავრობებისათვის გაგზავნილი მემორანდუმი ეხება გერმანიის პასიურ წინააღმდეგობის, სამხედრო ოკუპაციის დაკავებულ ოლქების თანდათანობითი ევაკუაციის, გადასახლების ეკონომიურ ექსპლოატაციის, გერმანიის მორატორიუმის, რეინის ოლქის რკინისგზების რეჟიმს და გერმანიის ოკუპაცია ქმნილ და დაუკავებულ ოლქებს შორის საბაჟო ბარიერების საკითხებს. ინგლისი უარს იტყვის აგრეთვე საფრანგეთის მოთხოვნილებებზე განაწილებულ იქნეს საკონტრიბუციო ობლიგაციები, პუანკარეს იანვრის პროექტის თანახმად.

მუშათა პარტიის განცხადება.

ლონდონი. 15 ივნისი. თემთა პალატაში მუშათა პარტიამ იმედი გამოსთქვა, რომ ინგლისის მთავრობა მოაგვარებს საკონტრიბუციო საკითხს. მუშათა პარტიის აზრით, გერმანიის უკანასკნელი წინადადება საკმაო საფუძველს იძლევა მოლაპარაკებისათვის.

ბელგიის პალატაში.

პარიზი. 15 ივნისი, ბელგიის დეპუტატთა პალატაში ვოპერსმა პროტესტი განაცხადა რურის ოკუპაციის წინააღმდეგ, რომელიც არავითარ სარგებლობას არ აძლევს ბელგიას, მაგრამ სამაგიეროდ აძლიერებს გერმანიის ეროვნულ პროპაგანდას, ვასპარმა განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია გაგრძელდება მანამდის, სანამ გერმანია არ შეასრულებს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებს.

რეპრესიები ძლიერდება.

ბერლინი. 15 ივნისი. საფრანგეთი რეპრესიებს აძლიერებს რურში. დაჭერილია ოლქის მთელ რიგ ქალაქების სადგურები, მათ რიცხვში დორტმუნდისა და ბოხუმის, რის შედეგადაც სრულებით შეწყდა რკინის გზით მიმოსვლა. დორტმუნდი სრულებით მოწყვეტილია ქვეყანას. ტელეგრაფი არ მუშაობს. ქალაქიდან გასვლის უფლებას არ აძლევენ. რეინის კომისიამ განკარგულება მოახდინა მთელ რიგ ახალ რეპრესიების შემოღების შესახებ. გერმანიის პრესა ამტკიცებს, რომ ეს რეპრესიები კიდევ უფრო ხელს შეუწყობენ პასიური წინააღმდეგობის გაძლიერებას. ბონები მოსამსახურეების გამო, ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული.

შორეული აღმოსავლეთი

ერთი კიდევ გადადგა.

პეკინი. 15 ივნ. პეკინიდან გაქცეული ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დატუსაღებულ იქნა ტიანძინის ახლოს ჯილიის გუბერნატორის მიერ; პრეზიდენტის ბეჭდის დაბრუნებისა და თანამდებობაზე ფორმალური უარის განცხადების შემდეგ ის განთავისუფლებულ იქნა. პრეზიდენტმა, რომელიც ინგლისის მისიას შეაფარა, განაცხადა, რომ ის იძულებული იყო გადამდგარიყო, ამიტომ მის გადადგომას ძალა არა აქვსო. პეკინში შიში მეფობს. ფიქრობენ, რომ ჯარი და პოლიცია, რომელნიც ჯამაგირს არ ღებულობენ, თვითნებობას მიმართავენ.

ჩინეთის პრეზიდენტის დატუსაღება.

რომი. 15 ივნისი. პეკინიდან იუწყებიან, რომ იქიდან გაპარული ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ტიანძინში შეიპყრო ადგილობრივმა გუბერნატორმა და შემდეგ ისევ გაანთავისუფლაო.

შეერთებული შტატების აღშფოთება.

ბერლინი. 16 ივნისი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ვაშინგტონის მთავრობის წრეები აღშფოთებული არიან ტოკიოდან მიღებული კონფიდენციალური ცნობებით ჩრდილოეთ ჩინეთში იაპონიის სამხედრო ზომების შესახებ. ურთიერთობა ამერიკასა და იაპონიის შორის, სენატორ ლანსინგს და ბარონ იშის შორის შეთანხმების დადების დროიდან ისედაც საგრძნობლად გაუარესდა.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

რეიხსტაგი მიესალმა გელეინს.

ბერლინი. 18 ივნისი. საფრანგეთიდან დაბრუნებულმა გელეინმა თავისი ადგილი დაიჭირა რეიხსტაგში. რეიხსტაგის თავმჯდომარე მიესალმა მას სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ გელეინმა განიცადა დევნა იმ მთავრობისაგან, რომელიც მუდამ გაჰკივის ადამიანურ უფლებებზე, თუმცა ამავე დროს ათასობით სჩაგრავს გერმანელებს და სიკვდილის პირამდე მიჰყავს ისინი.

საბერძნეთი.

ეკონომიური კრიზისი.

ვენა. 15 ივნისი. საბერძნეთში ძლიერი ეკონომიური და სოციალური კრიზისია. კასების დაცემამ გამოიწვია მრავალ წარმოებათა და ბანკების გაკოტრება.

საფინანსო კრიზისის გამო, მწარმოებლები ცდილობენ სამუშაო ხელფასის შემცირებას, რაც იწვევს ენერგიულ წინააღმდეგობას მუშების მხრივ. ამ საკითხის შესახებ პროფკავშირთა გაერთიანება იწვევს პროფკავშირების, მუშების და ბურჟუების წარმომადგენელთა კონფერენციას.

ათინაში და პროვინციებში კომპარტიის ინიციატივით გაიმართა მთელი რიგი მასიური დემონსტრაციებისა. მწარმოებლები დაემუქრენ მუშებს ლოკაუტით, თუ უკანასკნელები არ დათანხმდებიან სამუშაო ხელფასის შემცირებაზე ამაზე პროფკავშირთა საბჭომ უპასუხა, რომ სამუშაო ხელფასის შემცირების შემთხვევაში, გამოცხადებული იქნება გაფიცვა.

საფრანგეთი.

პუანკარეს მოხსენება შინაური პოლიტიკის შესახებ.

პარიზი. 16 ივნისი. დეპუტატთა პალატაში პუანკარემ გააკეთა მოხსენება შინაური პოლიტიკის შესახებ და მიმართა პალატას თხოვნით, რათა დაეჩქარებია ბიუჯეტის დამტკიცება. პუანკარემ გაილაშქრა ყოველგვარი თანამშრომლობის წინააღმდეგ უკიდურესს მემარჯვენე და უკიდურეს მემარცხენე პარტიებთან და განაცხადა, რომ მთავრობის შინაური პოლიტიკა უნდა ეთანხმებოდეს საგარეო პოლიტიკას.

კომუნისტების გასამართლების ჩაშლა.

ბერლინი. 16 ივნისი. სახელმწიფო პროკურორის მიერ ბრალდებებზე უარის თქმის გამო, კომუნისტების გასამართლება შეჩერებულია.

ბელგია

კომუნისტების საქმე.

ბერლინი. 15 ივნისი. საბრალმდებლო კამერამ სასამართლოს გადასცა 15 კომუნისტის საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში.

მთავრობის კრიზისი.

ბერლინი. 16 ივნისი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, მეფემ დაავალა ტენისს მხოლოდ ცვლილება შეიტანოს კაბინეტში.

პარიზი. 16 ივნისი. ბრიუსელის გაზეთები არ ადასტურებენ ცნობას, თითქოს ტენისს დავალებული ქონდეს კაბინეტის შედგენა. მოხდა კრებები ცალკე პარლამენტალურ ჯგუფების. კათოლიკეები წინააღმდეგი არიან კაბინეტში სოციალისტების მონაწილეობის, ლიბერალები კი ემხრობიან. ჯერჯერობით სრული უთანხმოებაა პარტიებს შორის.

პოლონეთი

პილსუდსკის მემკვიდრე.

ვარშავა. 14 ივნისი. სახალხო მინისტრად დანიშნულია გენერალი შეპტიცკი. გალერი შეუდგა გენერალურ შტაბის უფროსის მოვალეობის ასრულებას.

პოლონეთის მარკა ეცემა.

ვარშავა. 14 ივნისი. პოლონეთის მარკა ეცემა გამალებით. უკანასკნელ კვირაში პირველ მოთხოვნილების საგნების ფასები ერთი-ორათ გაიზარდა.

ამნისტია პროექტით, დაპატიმრებანი საქმით.

ვარშავა. 14 ივნისი. მთავრობამ მიიღო რა მხედველობაში შინაური მდგომარეობის გართულება მემარცხენე ელემენტების მხრივ შექმნილ ოპოზიციის გამო, შეიმუშავა ამნისტიის პროექტი. უკანასკნელი ვრცელდება ზოგიერთ პოლიტიკურ დამნაშავეებზე გარდა კომუნისტებისა.

ბელორუსების საქმის გამო დაპატიმრებულია დეპუტატი ვორონოვი, რომელსაც მისჯილი აქვს 6 წლის კატორღა. სეიმის კომისიამ დაპატიმრება კანონიერად სცნო, მაგრამ ამავე დროს მოითხოვა სპეციალურ კანონის მიღება დეპუტატთა ხელშეუხებლობის შესახებ.

სპარსეთი

ახალი კაბინეტი.

თეირანი. 14 ივნისი. შაჰის წინადადებით ახალ კაბინეტს ადგენს მუშირ-ედ-დოვლე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

პურის მარაგის აღრიცხვა.

მოსკოვი. 16 ივნისი. ს. ს. რ კავშირის პურის მარაგის გამოსარკვევად, შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა წარმოებულ იქნეს მათი აღრიცხვა ოთხჯერ წელიწადში—ოქტომბერში, იანვარში, აპრილში და ივლისში. პირველი რეგისტრაცია მოხდება 1 ივლისს.

საჰაერო მიმოსვლა.

ხარკოვი. 15 ივნისი. უკრაინისა და ყირიმის საჰაერო მიმოსვლის საზოგადოება რეგულიარულ საჰაერო მიმოსვლას აწყობს ხარკოვ—კიევ—ოდესსასა და აგრეთვე ხარკოვ—ეკატერინოსლავ და სევასტოპოლს შორის. წინასწარი ცნობების მიხედვით, უკრაინისა და ყირიმის მშრომელთა მიერ შეწირული თანხები საშუალებას იძლევიან შეძენილ იქნეს 40 მეტი თვითმფრინავი.

რუსეთ—გერმანიის სალიტერატურო კონფერენცია.

პეტროგრადი. 15 ივნისი. აგვისტოს პირველ რიცხვებში პეტროგრადში ჩამოვა გერმანელ მწერლების საზოგადოების წარმომადგენელი რუსეთ-გერმანიის სალიტერატურო კონვენციის განახლებაზე მოლაპარაკების საწარმოებლად.

პურის მდგომარეობა ციმბირში.

ნოვო-ნიკოლაევსკი. 14 ივნისი. პურების მდგომარეობა 5 ნიშნიანი სისტემის მიხედვით შემდეგნაირად ფასდება: ალტაის გუბერნიაში—ანეული —2, 7, გაზაფხულის—1. 9, ირკუტსკის გუბერნიაში—ანეული—2. ცხელი ამინდი ცუდათ მოქმედობს მოსავალზე.

სატყეო მასალის ექსპორტი.

ვოლოგდა. 14 ივნისი. ვოლოგდიდან პეტროგრადში გაგზავნილია 12 ბარჟა საექსპორტო სატყეო მასალა. იტვირთება კიდევ 8 ბარჟა.

პურის გადაზიდვა.

მოსკოვი. 15 ივნისი. ახლო მომავალში განზრახულია პურის გაზიდვა საზღვარ გარედ. ამ მიზნისათვის სახელმწიფო სავაჭრო ფლოტი ცდილობს გააფართოვოს და გააძლიეროს სატრანსპორტო უნარიანობა აზოვისა და შავი ზღვის ნაოსნობისა. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვაზე გადააქვთ ოკეანეს საბარგო გემი „ტრანზმალტ"-ი, რომლის ტევაც უდრის 900,000 ფუთს. აგრეთვე გადააქვთ ბალტიის ზღვიდან რამდენიმე სხვა გემიც.

ბამბის საქმე.

მოსკოვი. 15 ივნისი. რადგანაც წრევანდელი ბამბის მოსავალი წარმატებით წავიდა, მებამბეობის მთავარ კომიტეტს განზრახვა აქვს 1924 წელს თურქესტანში დასთესოს 320, 000 დესეტინა ბამბა, ნაცვლად 180, 000 დესეტინის, რაც წელს იყო დათესილი.

რუსეთ—პოლონეთის სატელეგრაფო შეთანხმება.

მოსკოვი. 15 ივნისი. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა რუსეთ—პოლონეთის სატელეგრაფო კონვენცია.

ნათესების მდგომარეობა.

მოსკოვი. 17 ივნისი. ცივმა და წვიმიანმა ამინდებმა ივნისის დასაწყისში ცუდი გავლენა იქონია ნათესებზე რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. ზოგიერთ ადგილებში ნათესებს წყალი აქვთ შემდგარი, ალაგ-ალაგ შვრიის თესვა არ დამთავრებულა. რუსეთის სამხრეთ ნაწილში წვიმები ხელს უწყობს ნათესებს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა.

მოსკოვი. 17 ივნისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის პასუხისმგებელ მუშაკთა კრებამ განიხილა პროექტები დეკრეტებისა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ და აგრეთვე დებულება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ იმ ორგანოების მუშაობის მოწესრიგების შესახებ, რომლებსაც დავალებული აქვთ შრომის და წარმოების ორგანიზაციის საკითხების განხილვა. პროექტები წარდგენილი იქნება სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მომავალ სესიაზე განსახილველად. ივლისის შუა რიცხვებში მუშათა და გლეხთა ინსპექცია დაიწყებს მუშაობას გადახალისებულ და განახლებულ შემადგენლობით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ შემოიღო სავალდებულო გამოცდები ინსპექციის იმ მუშაკთათვის, რომელთაც უჭირავთ ინსპექტორების თანამდებობანი. გამოცდებიდან უნდა გამოირკვეს ის, თუ რამდენად აქვთ შეთვისებული მუშაკებს თანამედროვე სახელმწიფო აპარატის ცოდნა და აგრეთვე რა ცოდნა აქვს მათ შრომის, წარმოების და მმართველობის დარგებში.

სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტის მუშაობიდან.

მოსკოვი. 17 ივნისი. სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურმა კომიტეტმა დაარიგა ათ-ათი ათასი ფუთი პური კარელიაში სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის, დამშეულ ლტოლვილების დაბრუნების (გამოტოვებულია), ყირიმის და ვოლგის მხრის დამშეულთა დახმარების საქმის გასაადვილებლად, მავნეებთან ბრძოლისათვის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს მიეცა 500,000 მან.

სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცეკას დადგენილებით, სრულიად—რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოეწყობა სიმშილობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის განყოფილება.

სამეურნეო ფრონტზე.

უფა. 16 ივნისი. უფაში კაპიტალური შეკეთების შემდეგ ამუშავებულია სახელმწიფო ფანერის ფაბრიკა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მოითხოვენ ერთიანი ფრონტის შექმნას.

პარიზი. 14 ივნისი. დიდ მიტინგზე პარიზში, რომელიც მოწვეული იყო ბერლინის კონფერენციის გამო, 2000 რკინისგზელმა გამოიტანა რეზოლიუცია ერთიანი ფრონტის საჭიროების შესახებ.

ზემო-სილეზიაში გაფიცვა გრძელდება.

ბერლინი. კომუნისტური პრესა აცხადებს, რომ გაფიცვა ზემო-სილეზიაში ერთსულოვნად მიმდინარეობს. მუშები ძლიერ აღელვებულია კომუნისტ მარკრაფის დატუსაღების გამო.

სასოფლო-სამეურნეო მუშათა გაფიცვა გრძელდება.

ბერლინი. 15 ივნისი. სასოფლო-სამეურნეო მუშათა გაფიცვა, რომელიც მოაწყო რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა, გრძელდება.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა კონგრესმა გლეივიცში პრინციპიალურად დაადგინა განაახლოს მუშაობა მწარმოებლებთან შეთანხმებით იმ პირობით, თუ უკანასკნელნი მისცემენ მუშებს ერთდროულ დახმარებას და უკანვე მიიღებენ ყველა მუშებს. რადგან კონგრესის გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა უმცირესობის მიერ, შესაძლებელია, რომ მუშები მას უარყოფენ.

იაროსლავის მენშევიკების საქმე

რისთვის ასამართლებენ.

მოსკოვი. 16 ივნისი. ახლო ხანში მოსკოვის სასამართლოში დაიწყება მენშევიკური პარტიის იაროსლავის კომიტეტის ხელმძღვანელის ხოროშევის საქმე, რომელსაც ბრალათ ედება კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებში და აგრეთვე იაროსლავის აჯანყებაში მონაწილეობის მიღება. აჯანყების დაწყებამდი რამდენიმე დღით ადრე იაროსლავში ჩამოსულმა ბორის სავინკოვმა კავშირი დაიჭირა ადგილობრივ მენშევიკებთან და აცნობა მათ აჯანყების დაწყების დღე. მენშევიკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში. ბოგდანოვმა, მბეჭდავთა კავშირის მდივანმა გამოიყენა თავისი გავლენა მუშებში და მისი ზეგავლენით აჯანყებულებს შეუერთდა რამდენიმე ასეული მბეჭდავი და აგრეთვე რკინის გზელები. აჯანყების შემდეგ ბოგდანოვი გაიქცა მოსკოვში, სადაც ის იცნეს და დაატუსაღეს წარსულ წელში.

ეს პროცესი ნათელს მოფენს მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობას 1918 წ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ზღვით მიმოსვლა აგარაკებზე.

ბათომი. 15 ივნისიდან მოეწყობა რეგულიარული მიმოსვლა მოტორიან გემებზე ბათომის განაპირა სააგარაკო ადგილებზე.

ბანდიტების შეპყრობა.

ბათომი. 15 ივნისი. მიღებულია ცნობები, რომ ბანდიტები, რომლებმაც გაძარცვეს ბათომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების წარმომადგენლები ფიჟენკო და კალანდაძე, შეიპყრეს და გაგზავნეს ქუთაისის ციხეში.

საგადასახადო ბიურო.

ბათომი. 15 ივნისი. საგადასახადო ბიურო ბათომში დაამტკიცა ცენტრმა.

საქონელი სპარსეთიდან.

ბათომი. 15 ივნისი. ცენტროკავშირის ბათომის კანტორამ მიიღო სპარსეთიდან ერთი ვაგონი საზა, ერთი ვაგონი ბრინჯი. საზა იგზავნება როსტოვში. მოსკოვში იგზავნება ნუში.

ჩაის კამპანია.

ჩაქვი. 15 ივნისი. ჩაის კამპანიის განმავლობაში 9-დან 28 მაისამდე ჩაქვის მამულში შეგროვილია 233.312 გირ. ჩაის ფოთოლი. ფაბრიკაზე დასამუშავებლად სხვადასხვა პირებიდან შემოვიდა 65.730 გირ. ჩაის ფოთოლი.

მესაქონლეობის გაუმჯობესებისათვის.

ბათომი. 15 ივნისი. მოვიდა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ყირიმში, თავრიზის გუბერნიაში, ნაყიდი რქიანი საქონლის პირველი პარტია, რომელიც 9 ძროხისა და ერთი ბუღასაგან შესდგება. ამ დღეებში ელიან დანარჩენ ნაწილის მოსვლას. თამარას რაიონში სარძეო ფერმის ასაშენებლად წარმოებულ მუშაობის დამთავრებამდე, საქონელი მოთავსებულია საბეითლო სამკურნალოს მანეჟში. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ფერმას ჰყავს 19 თავი მოსაშენებელი საქონელი.

აზერბეიჯანი.

ბაქოს ბაზრობა.

ერევანი. 15 ივნისი. ბაქოს ბაზარზე უმთავრეს გამყიდველებად გამოდიან სახელმწიფო ორგანოები, რომელთაც ბაზრობის დაწყებიდან 5 ივნისამდე გაჰყიდეს 30218 ფუთი საქონელი რომლის ფასი უდრის 18.827,2 ჩერვონ. მეორე ადგილი უჭირავთ კერძო ფირმებს და პირებს, რომელთაც გაჰყიდეს 48,679 ფუთი საქონელი რის ფასიც უდრის 16.260,3 ჩერვონ. მესამე ადგილი უჭირავს კოოპერაციას, რომელმაც გაჰყიდა 22907 ფ. 10.185,1 ჩერვონ. სახელმწიფო ორგანოები დღემდის ჰყიდდენ უმთავრესად მანუფაქტურას, სელის ნაწარმოებს, შაქარს, მარილს, ხორბლის ფქვილს, შუშას, შუშის ნაწარმოებს, სალებავებს, ლურსმანს, რკინას. კოოპერაცია:—ბრინჯს, შაქარს, ფქვილს, მინას, შუშის ნაწარმოებს, შაბიამანს. კერძო პირები და ფირმები—ბამბას, ტყავეულობას, სალებავებს, გამხმარ ხილს, ბრინჯს, შაქარს, ფქვილს. პირველ ორი კვირის განმავლობაში გაიყიდა სულ 101804 ფ. საქონელი, ღირებული 46.276,6 ჩერვონცად. მყიდველებად პირველ რიგში დგანან კერძო პირები და ფირმები, რომელთაც ორი კვირის განმავლობაში იყიდეს 66920 ნახ. ფუთი საქ. ღირებული 31.418,4 ჩერვონცად. მეორე ადგილი უჭირავს კოოპერაციას, რომელმაც შეიძინა 32871 ფ. საქ. ღირებული 11.351,1 ჩერვ. მესამე ადგილი—სახელმწიფო ორგანოებს—რომელთაც ჯერ-ჯერობით შეიძინეს 1972 ნახ. ფ. ბრინჯი, გამხმარი ხილი, სელის ნაწარმოები, მინები, შუშის ნაწარმოები და რკინა, ღირებული 2503,1 ჩერვონცად. კოოპერაციამ შეიძინა 18700 ფ. ბრინჯი, 10000 ფ. მარილი, დაახლოვებით 3000 ფ. შაქარი, შემდეგ მინა და ქიმიური ნივთიერებანი. კერძო პირები და ფირმები ჰყიდულობენ ყოველგვარ საქონელს, გარდა ბრინჯისა, ამასთანავე საქონლის უმეტესობა იგზავნება სპარსეთში,—როგ. მაგალითად: შაქარი, ფქვილი, ტყავეულობა, მინა, შუშის ნაწარმოები, სალებავები და შაბიამანი. მეორე ადგილი გატანის მხრივ უჭირავს საქართველოს. საბჭოთა რუსეთში ორი კვირის განმავლობაში გაიგზავნა დაახლოვებით 20.000 ფ. ბრინჯი, 1000 ფუთზე მეტი გამხმარი ხილი, 200 ფუთზე მეტი ბამბა; უკანასკნელი სხვათა შორის შეძენილია ბაქოსათვის დაახლოვებით 200 ფუთი. ეჭვს გარეშეა, რომ საბაზრო ვაჭრობის შედეგები მეორე ორი კვირის განმავლობაში გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე პირველ ორ კვირაში. დიდი გარიგებანი მოხდება, როგორც სჩანს, ბაზრობის დასასრულს.

ბუნებრივი სიმდიდრენი.

ბაქო. 17 ივნისი. ახლო ხანში ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისარიატი ზაკლიკვაინის, მდინარე ტერტერის და გიაემუშ-მურადის ულელტეხილის რაიონებში აგზავნის სპეციალურ კომისიას, რომელმაც უნდა მოახდინოს ამ რაიონების გეოლოგიური გამოკვლევა. ეს რაიონი მდიდარია სხვა და სხვა მადნეულით. განზრახულია აგრეთვე რკინის მადანით მდიდარი დაშკენზანის რაიონის (განჯიდან 30 ვერსის მანძილზე) ტოპოგრაფიული გამოკვლევის მოხდენა.

პედაგოგიური კურსები.

ბაქო. 17 ივნისი. ბაქოს განათლების განყოფილებამ გახსნა პედაგოგიური კურსები ბაქოსა და მაზრის პირველი საფეხურის შკოლებისათვის თურქ მასწავლებლების მოსამზადებლათ.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 17 ივნისი. 11 ივნისის განმავლობაში ყველა სამრეწველოებში ამოღებულია 609.000 ფ. ნავთი. გამოხდილია 430.000 ფ. მიღებულია გამოხდიდან—415.000, დაწმენდილია—81.000 ფ. საბურღაოში მუშაობდა 168 მანქანა. გაბურღულია 81 საჟ.

კულტ-შეფობა სოფელზე

ბაქო. 17 ივნისი. საბჭოთა მუშაკთა კავშირმა მიიღო კულტურული შეფობა სხვა და სხვა სოფლებზე—კუბის მაზრაში; გუდუკზე, მოგუგზე და ისპიკზე, რომელიც განთქმულია მეჭურჭლეობით.

სომხეთი

კალიას ფრონტზე საბოტაჟისათვის.

ერევანი. 15 ივნისი. ამ დღეებში დაიწყება დიდი საქმის გარჩევა, წარსულ წელს კალიას ფრონტზე საბოტაჟისათვის პასუხისგებაში მიცემულ მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის თანამშრომლებისა, რომელთაც თავის მოქმედებით შეაფერხეს კალიის საწინააღმდეგო კამპანიის დაწყების და ჩატარების საქმე.

თეატრი სოფელში.

მეგრი. 16 ივნისი. მეგრში აშენებენ თეატრს.

შრომის ბირჟა.

ერევანი. 17 ივნისი. მაისის განმავლობაში შრომის ბირჟაში ჩაეწერა 604 უმუშევარი. გაიგზავნა სამუშაოზე 12. 1 ივნისისათვის უმუშევართა რიცხვი სულ შეადგენდა 2.551, რომელთაგან 1763 მამაკაცია და 768 ქალი.

ელექტროფიკაცია.

ახალი ბაიაზეთი. 17 ივნისი. აღმასკომმა გადასწყვიტა ელექტროფიკაცია მოაწყოს ახალ ბაიაზეთსა და მის ახლო მდებარე სოფლებში. საორგანიზაციო მუშაობა უკვე დაწყებულია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(18 ივნისი)

ჩერვონცები —14,250 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ.—15,200 ათ.
„ ჩეკები—13 000
დოლარები — ეფექტ.—3 400
„ ჩეკები—3.050
ოსმალ. ქაღალ. ლირა —2.260
იტალიანური ლირა — 115
ფრანკები ეფექტ — 175

ძვირფასი ლითონების კურსი.

(18 ივნისი).

ოქრო 96 სინჯ. — 8.600 ოქრო 56—სინჯ.—4250 ათასი. ვერცხლი 84—სინჯ.—მისხალი 158 ათ. ვერცხლი ბანქ. 1 მან.—1025, ვერცხლი ხურდა ფული 1 მ.—420.

საფონდო ბირჟის განწყობილება.

(18 ივნისს).

დღეს ვალიუტაზე მოთხოვნილება საერთოთ სუსტია. ჩერვონცები დაეცა 14,250 ათას მანეთამდე.

მუშკოპის ფასები.

თეთრი პური—60 ათასი, 2 ხარის. —45 ათ., თეთრი ფქვილი—100 ათ. გირვანქა, საპონი „ტოლე"—300 ათ. როსტოვის საპონი—360 ათასი, ძველი ლობიო—25—35 ათასი, ბრინჯი —140 ათასი.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო კომისიაში.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო კომისიაში წარდგენილია ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვა 1923 წლისათვის. ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია დაახლოვებით 1 ტრილიონი მანეთის (ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით) რაოდენობით. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველოს დღემდე არ მოეპოება დებულება მის შესახებ და გეგმა მისი მუშაობისა, დამტკიცებული საკანონმდებლო ორგანოების მიერ.

ამიტომ, ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების გაძნელების გამო, საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა მისცეს ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველოს საოპერაციო ხარჯებისათვის მხოლოდ 5 მილიარდი მან.

სააქციონერო საზოგადოება „ტრანსპორტი".

პირველი საქციონერო საზოგადოება „ტრანსპორტი" ხსნის ამიერ-კავკასიაში მთელ რიგ კანტორებს. ტფილისის კანტორამ უკვე დაიწყო მუშაობა და ისე წარმატებით, რომ მის შუამავლობას მიმართავენ სახელმწიფო, კოოპერატიული დაწესებულებები და კერძო პირები. საზოგადოება აძლევს თავის კლიენტებს შეღავათიან პირობებს გადაზიდვაზე, უზრუნველყოფს ტვირთების უკლისობას და სხვა.

ამიტომ ზოგიერთი სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებები აუქმებენ თავიანთ სატრანსპორტო განყოფილებებს და აბარებენ ყველა ოპერაციებს ტვირთების გადაზიდვისათვის საზ. „ტრანსპორტი".

ტფილისს გარდა, კანტორები გახსნილია უკვე ბათომში და ერევანში.

ბირჟის საქონლის განწყობილების მიწოდება.

(18 ივნისს).

თამბაქო სოხუმის, ხორბალი ყუბანის და კიურდამირის, სიმინდი, ქვავი, ცინკი, სანდალი პეტროგრადის ფაბრიკის—„ფენიქსი", ქვამარილი, სპილენძი ლორის, ტომრები, ეკლიანი მავთული, მაკარონი, 1 და 2 ხარისხ. ტყავი ნედლი, ცხვრის ტყავი, წუმწუმა რუს. ვოლკოვის, მანუფაქტურა რუს. ბამბის, სრულიად რუსეთის ტყავეულობის, სინდიკატის პროდუქცია, ფქვილი ამერიკული, მარილის სინდიკატის პროდუქცია, გერმან. მედიკამენტები, გერმ. ჩაი, რკინა, ცემენტი, მინები ფანჯრის, ბოთლები 1 | 20 და 1 | 40, კაუსტ. სოდა, გოგირდის სიმჟავე 65 ნახ., ტკეჩები კაკლის, მუხის და სხვა.

საქონლის განწყობილების მოთხოვნილება.

(18 ივნისს).

მინა ფანჯრის, ქინაქინა, პირპილი, ძნის შესაკრავი თოკები, ფქვილი ყუბანის, 1 ხარისხ., ბრეზენტი, მავთული, ასფალტი, გუდრონი, ტყავი ნედლი, ნარმა, პურის სპირტი, მანუფაქტურა რუსეთის, მეშის ფეხსაცმელები უმაღლეს ხარისხის, ცხვრის ნაწლავები სველი—დამარილებული, მედიკამენტები, ბამბა, მატყლი თუშური,—ლეკეთის და ფასანაურის, შაბიამანი, ფოთლოვანი თამბაქო, მარილი ნახიჩევანის, სამკურნალო ბალახები.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება 18 ივნისს უცვლელია.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატში

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგია ამ დღეებში იხილავდა საკითხს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საიმპორტო და საექსპორტო მოღვაწეობას 1923 წლისათვის.

ექსპორტი.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ წარმოდგენილ გეგმის თანახმად 1923 წლის ექსპორტი გამოიხატება შემდეგში. დამზადებათა ხარჯთ-აღრიცხვა:—ძირტკბილა 1.700 000, მატყლი—50 000 ფ. ბამბა—30,000 ფ. ნაწლავები—1.000.000 ცალი მეაბრეშუმეობის პროდუქტები 55.000 ფ. პარკი ჯაგარი—700 ფ. თამბაქო ფოთლოვანი სპარსეთის საქონლის ოპერაციები—ბამბა—20.000 ფ. გამხმარი ხილი ნუში—5000 ფ. საზა—30 000 ფ. და გუში—1000 ფ. საკომისიო ოპერაციები:—აბრეშუმის პარკი—8000 ფ. აბრეშუმის თესლი—1000 ფ. ფრიზონი—1000 ფ. ფოთლოვანი თამბაქო—46.000 ფ. ხიზილალა—5000 ფ. ნოხები 400.000 მან. და ბეწვეული—50000 მან.

წარმოდგენილი გეგმა კოლეგიამ დაამტკიცა შემდეგი ცვლილებებით მომზადებათა ოპერაციებში:—ბამბის დამზადება ამიერ-კავკასიაში არ მოხდება და ამავე დროს გაფართოებულ იქნება დამზადება სპარსეთში. ნაწლავების რაოდენობა შემცირებულ იქნას 500.000 ცალამდე. მიექცეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ყურადღება საექსპორტო საქონლის დამზადებაზე: მაგ. სპილენძი, დაფნის ფოთოლი, კავკასიის ნოხები, და ამ სახის ექსპონატების გეგმაში შეტანა.

სპარსეთის საქონლის ოპერაციებში:—ბამბის დამზადება გადიდებულ იქნას 50.000 ფუთამდე. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დამზადებათა გეგმაში შეიტანოს სპარსეთში დამზადებულ ნაწლავების და ნოხების შეტანა საკომისიო ოპერაციების გეგმა მიღებულ იქნეს უცვლელად.

იმპორტი.

ამიერ-კავკასიის სახელ. ვაჭრობის სამმართველოს საიმპორტო გეგმა შემდეგია: საზღვარ-გარეთიდან ამიერ-კავკასიის სახ. ვაჭრობის სამმართველოს ხარჯზე შემოტანილ უნდა იქნეს: მატყლის ქსოვილები—60000 არშ. დამუშავებული ტყავი—100000 ფუთი, სასოფლო სამეურნეო იარაღები—300.000 მან., ჩაი—500 ფ., გოგირდის ფერი—12000 ფ., ავტომობილი—30 ცალი და მედიკამენტები—50.000 მან.

ამის გამო კოლეგიამ დაადგინა: საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონლის სია შედგენილ იქნეს სალიცენზიო ბიუროს ცნობების თანახმად. სალიცენზიო განყოფილებას შეუმცირდეს სათანადოთ კერძო პირთა საიმპორტო მოღვაწეობით სარგებლობის უფლება. მატყლის საქონელი გამოტოვებულ იქნეს. ნებადართულ იქნეს მხოლოთ რბილი ტყავეულობის შემოტანა.

რუსეთიდან ბამბის ქსოვილების შემოტანის საკითხში კოლეგიამ დაადგინა რუსეთიდან მანუფაქტურის შემოტანა დაშვებულ იქნას ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დამზადებათა საზღვრებში. შემდეგ მიღებული იქნა საზღვარ გარეთიდან შემოსატან საქონლის გეგმა საკომისიო საფუძველზე: რქიანი ჯიშიანი საქონელი 500 სული, ცხენები—50 სული. სხვადასხვა მანქანები, იარაღები და სხვა. 200.000 მანეთის, სასოფლო სამეურნეო იარაღები და ტეხნიკური საგნები 300000 მანეთის.

რუსეთიდან საკომისიო საფუძვლებზე შაქრის შემოტანის საკითხის გამო კოლეგიამ დაადგინა: სპარსეთის საჭიროებისათვის შაქრისშემოტანა (50 ათასი ფუთი რაფინადი და—50 ათასი ფ. ფხვნილის) მიღებულ იქნეს; ამიერ-კავკასიის საბჭოებისათვის კი საჭირო დამზადების ფარგლებში. საერთოთ კი მიღებულ იქნას შაქრის ყიდვა ამიერ-კავკასიაში ვაჭრობის საწარმოებლად. ამის შემდეგ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ყურადღება მიექცა საექსპორტო მოქმედების განვითარებაზე ისე რომ საექსპორტო ოპერაციებიდან შემოსული თანხები მოხმარდეს საზღვარგარეთიდან ამიერკავკასიისათვის საჭირო საქონლის შემოტანას ამავე დროს ხსენებული სამმართველო უნდა ეცადოს თავის ხელში მოაქციოს ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის იმპორტის რაც შეიძლება მეტი პროცენტი.

აბასთუმანის მდგომარეობა

(საუბარი აბასთუმანის კურორტების გამგე ექ. ფანცხავასთან).

გზა ბორჯომიდან აბასთუმნამდე.

ბორჯომ-აბასთუმანის გზაზე აქეთ-იქეთ უკვე სწარმოებს მუშაობა. მხოლოდ გზა აუცილებლად საჭიროებს შეკეთებას, რომელსაც აუცილებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საგზაო მშენებლობამ. აბასთუმანის ხევზე შენდება ნიაღვრიდან წაღებული ხიდების ნაცვლად ახალი ხიდები.

კურორტის აღდგენა.

აბასთუმანში სწარმოებს და 20 ივნისისათვის დამთავრდება შეკეთება ძველი დანგრეული შენობებისა, სადაც წინად სამხედრო ჰოსპიტალი იყო მოთავსებული. შეკეთებული შენობა დაიტევს 150 ავადმყოფს. სწარმოებს წყალსადენის, კანალიზაციის რემონტი. ზემო აბასთუმნის ყველა სახლების რემონტი უკვე დამთავრებულია. სწარმოებს 1918 წელში განადგურებული ქვედა აბასთუმნის მნიშვნელოვანი შენობების შეკეთება.

დიდი რემონტი უკეთდება აგრეთვე ვანებს და საბანაო მდინარის აბანოებს, რომელნიც აქამდე მუშაობდენ, მაგრამ უდიდეს რემონტს საჭიროებდენ.

სანიტარული მდგომარეობა.

სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებულია ყოველგვარი ზომები. ქუჩები იწმინდება და 25 ივნისამდე უკვე ყოველივე დასრულებული იქნება. ქუჩები უკვე ქვაფენილით მოგებულია, დადგმულია ჩასაფურთხებელი თასები, მოწყობილია და გაკეთებული შესასვენებელი სკამები. შეცვლილია ზოგი ქუჩების სახელი ახალი სახელწოდებით მთავარ ქუჩას ეწოდება ფილიპე მახარაძის ქ. მის პარალელურს ქუჩას 25 ოქტომბრის ქ., სადაც დაიდგმება ამხ. ლენინის ძეგლი.

სასტუმრო.

გარეშე სტუმრების საჭიროების დასაკმაყოფილებლად საკურ. სამმართველოს მიერ გახსნილია სასტუმრო, სადაც დაცულია ზედმიწევნით ჰიგიენური პირობები.

სახერხი ქარხანა.

მოწყობილია სახერხი ქარხანა, რომელიც 1 ივნისიდან სამეურნეო ხარჯზე გადავიდა. ქარხანა ჯერჯერობით აკმაყოფილებს საკურ. სამმართველოს და პროფკავშირების აგარაკ „არაზინდოს" საჭიროებას. ცოტა ხნის შემდეგ შესძლებს სხვა დაწესებულებისა და კერძო პირებისათვისაც საჭირო მასალის მიწოდებას.

სასურსათო საკითხი.

სიძვირის შესანელებლად ადგილობრივ პროფკავშირთან ერთად საკურორტო სამმართველომ გახსნა სასადილო, რომელმაც შესძლო კონკურენციის საშუალებით მაგარი ფასების დაწესება: სადილი 1 მილიონიდან ჩამოვიდა 400 ათას მანეთამდე. აბასთუმანი წრეულს ბევრ მოვაჭრეს იზიდავს ვაჭრობის გასაჩაღებლად და ამ ჟამად უკვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე და საჭირო საგნები.

აბასთუმანის სახალხო სამკითხველოსათვის.

სახ. განათლების კომისარიატი დიდი გულისყურით მოეკიდა საკურორტო სამმართველოს თხოვნას და დაუთმო აბასთუმნის სახალხო ბიბლიოთეკისათვის 3,000 ცალი სხვადასხვა მხატვრული და მეცნიერული შინაარსის წიგნი, რომელნიც უკვე იგზავნება დანიშნულებისამებრ,

აგარაკი „არაზინდო".

სწარმოებს სასწრაფო გაცხოველებული მუშაობა პროფკავშირების აგარაკ „არაზინდოს" შესაკეთებლად და 25 ივნისისთვის უკვე დამთავრებული იქნება შენობის ნახევარი კორპუსი 35—40 ოთახით. უკვე შეკეთებულია აბასთუმნიდან არაზინდომდე 2 ვერსიანი გზა, რომელზედაც ამ ჟამად სწარმოებს ეტლებით და ავტომობილებით მოგზაურობა.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

მუშათა ფაკულტეტს.

მუშათა ფაკულტეტის კულტკომისიები აწარმოებენ ტან-ვარჯიშობის შემოღებისათვის საჭირო მუშაობას. ამ საქმისათვის კულტ-განყოფილებამ მუშფაკს მისცა ერთდროული დახმარება 60 საქონლის მანეთი.

ე ნინოშვილის პატივსაცემად.

კულტ-განყოფილების დადგენილებით საკავშირო კლუბებში გაიმართება ეგნატე ნინოშვილის ხსოვნის აღსანიშნავად საპატივსაცემო საღამოები.

ექსკურსიებისათვის.

ზაფხულის განმავლობაში კოჯორს ესტუმრება კავშირების წევრთა და „სპარტაკი"-ს ექსკურსიები. კოჯორში მოგზაურთათვის თავისუფლდება 4 ოთახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ამხ. ამხ. უმუშევრებს

მეც ბევრჯერ ვნახე მწარე შიმშილი,
ციხე, ციმბირი, შავბნელი დღენი.
ოქროს კერპებთან ჩაქუჩით ბრძოლა
მეც ვიცი, ძმანო, ძნელია.. ძნელი!..

ძნელს პირობებში გვიხდება ყოფნა,
არ შეგვიძლია უკან დახევა...
დღეს კაპიტალი ებრძვის შრომასა
ძნელია, ძმანო, მისი დაძლევა!

ჰხედავთ, გარშემო შავი ძალები
ჩვენს წინაალმდეგ ამხედრებულა?!
ჩვენს სისხლში ეძებს ბედნიერებას,
აღარ გვასვენებს, გამხეცებულა...

ძნელია, ძმანო, ახალი გზისთვის
სწრაფად ყველაფრის გადაკეთება,.
ჩვენ კარგად ვიცით, რომ ტურფა ვარდი
უეკლოდ არსად მოიკრიფება.

მაშ, ისევ ჩვენვე ჩვენსა ოჯახში
ერთად გავსჭედოთ მომავლის ბედი;
ჩვენი ვალია, არ მოვიხაროთ
მტარვალების წინ მუშური ქედი.

გაუზიაროთ ერთმანეთს შრომა
თვეში გადავდვათ დღე, ნახევარი,
შევამსუბუქოთ მით ტვირთი მძიმე, —
ვიხსნათ ტანჯვისგან უმუშევარი.

მუშა ვასო რჭინიშვილი.

შტატების შემცირების მოლოდინში

(ერთი სურათი მეთუთუნეთა ცხოვრებიდან).

შვიდი ივნისია, მუშები ჩვეულებრივ დროს მოვიდნენ ქარხანაში და მცირე ხნის შემდეგ თითო ჭიქა ცხელი წყალი მოიტანეს და უგემოდ ჩაის სმას შეუდგნენ. ზოგს მათგან ჰქონდა საუზმედ პატარა პურის ნაჭერი, ზოგს თითო კვერცხი, ზოგს მწვანილი. ეს არის ყოველ დღიური მათი „ნუიერი" საკვები-საუზმე და სადილიც.

უკვე დილის ცხრა საათი იქნებოდა, როცა ქარხანაში ავტომობილით გამოცხადდა უფროსი საქმის მწარმოებელი. მუშები დაფაცურდნენ. ეგონათ, რომ მისგან მოისმენდნენ უკანასკნელ სიტყვას შტატის შემცირების შესახებ. მაგრამ მან ქარხანაშიაც კი არ შეიხედა, თითქოს მას არ ესიამოვნებოდა მუშების დაღვრემილ სახეზე შეხედვა, მცირეხანს ქარხნის ადმინისტრაციას ესაუბრა და ჩქარა ისევ ავტომობილით გაექანა, თითქოს იმას ესწრაფებოდა, რომ დილის წყნარი და გრილი ნიავი მზის სითბო-სიმხურვალეს არ ჩაენთქა, მას სუფთა ჰაერის ნაცვლად ცხელი და მტვრიანი ჰაერი არ ჩაესუნთქა!.

მუშები ისევ საგონებელში იყვნენ, მათ სახეს ფიქრი და ნაღველი არ მოშორებია. ამგვარად ჩვენმა მუშებმა გაატარეს რამდენიმე საათი. მაგრამ უცებ მათ სახე გაუბრწყინდათ, როცა ერთმა მოსამსახურე ქალმა საანგარიშო წიგნაკები ჩამოურიგა ყველას; ეს იმას მოასწავებდა, რომ მუშებს ამ დღეს ჯამაგირები უნდა მიეღოთ, მაგრამ ეს სურათი ისევე შეიცვალა და მუშებს დაეტყოთ სახეზე ისევე ნაღვლიანობა, როდესაც რამოდენიმე ამხანაგებმა წამოიძახეს: „ეს უკანასკნელი ფულის მიღება იქნება ჩვენი"! ამ სიტყვებმა მუშები ძალიან დაალონა; ყველას მწარე მომავალი თვალწინ წარმოუდგა მოსალოდნელ უმუშევრობის გამო... მცირე ხნის შემდეგ მუშებს უკვე ეჭირათ ხელში ფული და ჯიბეში მიუკარებლად ისინი გაეშურნენ მახლობელ დუქნებში ნისიად აღებულ სურსათ-სანოვაგის ანგარიშის გასასწორებლად, ხელცარიელნი დაბრუნდნენ სახლებში.

მუშა ალ. ბ—შვილი.

ს. მ. უ. ს. ტყავ-მთავარი განყოფილების ქარხნებში

(მუშკოპის გამგეობის საყურადღებოდ).

ხსენებულ ქარხნებში ყოველ დღე მუშები თავისუფლდებიან სასაუზმოდ ნახევარი საათით. მუშების დიდ უმრავლესობას ამ დროისთვის სჭირდება პური, რისთვისაც ისინი მიმართავენ ხოლმე იქვე ახლო არსებულ მთლიან მუშათა კოოპერატივის № 5 დუქანს. მიუხედავად იმისა, რომ მუშები თითქმის ყველა კოოპერატივის წევრები არიან და მათ სწორედ სასაუზმოთ დანიშნულ დროისთვის სჭირდებათ პური, ხსენებულ № 5 დუქნის გამგე, ამათ ყურადღებას არ აქცევს და კერძო, ან სხვა გარეშე, არა ამ ქარხნების მუშა წევრებზე ჰყიდის პურს, რის გამოც მუშები პურის ყიდვას ვერ ასწრებენ და მშიერი რჩებიან. ასეთი მოქცევა მუშების მიმართ, მით უმეტეს მთლიან მუშათა კოოპერატივის დუქნისგან, დაუშვებელია. აუცილებლად საჭიროა სწორედ იმ დროს ხსენებულ მუშების პირველ რიგში დაკმაყოფილება, საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს სათანადო ყურადღება მუშკოპის გამგეობამ და მიღებულ იქნას ზომები. აღნიშნულ მუშებს უნდა მიეცეთ დუქნიდან პური პირველ რიგში დაუბრკოლებლად.

მუშ-კორი მ.—ლაძე.

მთავარ საავადმყოფოში

(პროფკავშირის საყურადღებოთ)

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა შორის არ არის დაცული შრომის კანონები და წესები. აქ სწარმოებს ნორმალურ დროზე გადაჭარბებული საათებით მუშაობა. ჯამაგირების ნორმა მცირეა. წინედ მუშა-მოსამსახურეთ ზედმეტი საათების ნამუშევარზე—კომპენსაციის ნაცვლად საავადმყოფოდან ეძლეოდათ უსასყიდლო სადილი. ამ ჟამად კი ჯანმრთელობის კომისარიატს განზრახვა აქვს უსახსრობის გამო აღარ მისცეს მათ სადილიც—სადილი მიეცემა მხოლოდ მორიგ მუშა-მოსამსახურეთ ეს გარემოება მუშა-მოსამსახურეთ კი მეტად აღელვებს.

ამას უნდა მიაქციოს ყურადღება კავშირმა. მან უნდა დაეხმაროს აღნიშნულ საკითხის მოგვარებაში ადგილკომს, რომელიც ამ მხრივ ენერგიულად მუშაობს.

მუშკორი ჩხმელი.

შრომის ექსპლოატატორები

შრომის კანონების დარღვევისათვის პასუხისგებაში მიცემულ არიან შემდეგი მოქალაქეები:

— **მეცხვარეთა და მეჯოგეთა საზოგადოების გამგე მინასაზოვი** (სიონის ქ. № 32) იმის გამო, რომ მას ბირჟის გარეშე მიღებული საქმის მწარმოებელი მასლოვსკი; მას არ ჰყოლია დაზღვეული არც ერთი მუშა, ამას გარდა მუშებს არ აღმოაჩნდათ საანგარიშო წიგნაკები და დაწესებულებაში არ იყო შემოღებული შინაგან მოწესრიგების წესები.

— **ბამბეულობის წარმოების თბილისის განყოფილების გამგეობას** (სიონის ქ. № 32) იმის გამო, რომ აქ არ იყო შემოღებული შრომის დაცვის შესახებ მომქმედი დადგენილებანი და შრომის სახ. კომ. განკარგულებით შემოღებული წიგნები.

— **სამჭედლოს პატრონ იოხან შალს** (დესიმონოვის ქ. № 21—23), რომელიც არ იცავდა ხელოსან **ტაზაგულოვის** მიმართ 8 საათის სამუშაო დროს. ტაზაგულოვი არც დაზღვეული აღმოჩნდა და მას არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონებოდა.

ჟურნალი პროფკავშირებისთვის.

კულტ-განყოფილებამ შეიძინა 500 ეკზემპლიარი ჟურნალი „პლამია" რუსულ ენაზე და ქართული იუმორისტიული ჟურნალი „ნიანგი".

დახმარება ბიბლიოთეკას.

კულტგანყოფილებამ „არწრუნის" ბიბლიოთეკას დაუნიშნა ყოველთვიური დახმარება 10 საქონლის მანეთის რაოდენობით.

ყრილობის წევრთათვის.

მუშათა კლუბებთან არსებული წრეები თავის ძალებით მართავენ პროფკავშირთა მესამე ყრილობის წევრთათვის საჩვენებელ-საღამოებს. მონაწილეობას ამ საღამოებში მიიღებენ: მეტყავეთა, მელითონეთა, მეთამბაქოეთა, ტრამვაელების და სხვა პატარა საკავშირო კლუბები. უმთავრესად საჩვენებელი საღამოები მოეწყობა ცენტრალურ და პროფსაბჭოს მუშათა კლუბებში.

აგარაკები.

საქართველოს საკურორტო სამმართველოს მიერ ა. კ. ფოსტ. ტელეგ. საოლქო კომიტეტს ბორჯომში დაეთმო ბინები ყოფილ ქოიავას, მამაცევის და კარაპეტოვის შენობაში. ბინები გამოყენებულ იქნება საგარაკოდ.

ხელფასის შესახებ.

პრეზიდიუმმა დაადგინა: ივნისის თვეში შეინარჩუნოს წასული თვის ნამდვილი ხელფასი და ამისათვის აღძრას შესაფერი შუამდგომლობა.

სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.

მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც განზრახულია ზაფხულის გასულს, ფოსტა-ტელეგრაფის კავშირს დაეთმო 5 ადგილი. კავშირმა წინადადება მისცა ადგილკომებს წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატები.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— **სულით ავადმყოფების კოლონია.** სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ტფ. აღმასკომს ორთაჭალაში ყოფ. მანთაშევის შენობაში მოაწყოს სულით ავათმყოფთა კოლონია.

— **პროფ. ავალიანის ნაწერების შეძენა.** სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო განათლების კომისარიატს შეიძინოს პროფესორ ავალიანის შრომა „გლეხთა საკითხი საქართველოში" 792 ჩერვონცათ.

— **დადგენილების პროექტი.** სახ. კომ. საბჭომ საგანგებო კომისიას გადასცა განსახილველათ დადგენილების პროექტი შრომის უნარ დაკარგულთათვის პენსიის დანიშვნის შესახებ.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში.

— **საურთიერთო დამხმარე კომიტეტები.** ერთი თვეა, რაც სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი შეუდგა საურთიერთო დახმარების კომიტეტების მოწყობას სოფლად. ამ კომიტეტების მოწყობა თბილისის მაზრიდან დაიწყო და მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. კომიტეტები უკვე მოეწყო ს. ს. მარტყოფში, დიღომში, ლისში, წყნეთში, ავჭალაში და სხ. ამ კომიტეტების დაარსება ხალხში საერთო სიხარულს და აღტაცებას იწვევს. ამ ჟამად იგზავნებიან რწმუნებულები კომიტეტების მოსაწყობად საქართველოს სხვადასხვა მაზრაში.

განათლების კომისარიატში.

— **საფეიქრო სკოლების გახსნა.** განზრახულია რაჭის მაზრაში გაიხსნას საფეიქრო და ჭრა-კერვის ორი სკოლა, რის შესახებ პროფ. განათლების განყოფილება იმუშავებს სათანადო პროექტს.

— **სასკოლო ჰასაკამდე დაწესებულებათა გახსნა.** სასკოლო აღზრდის მთავარ მმართველობამ სახ. განათ. ლების განყ. დაუგზავნა ცირკულიარული წერილი, რომლითაც წინადადებას აძლევს განყოფილებებს მიიღონ გადაჭრილი ზომები, რათა გახსნილ იქნას სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებები, სადაც ასეთები ჯერ კიდევ არ არსებობენ.

— **ექსკურსია რუსეთიდან.** ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა ერთი ჯგუფი, ჯგუფის მიზანია დაათვალიეროს საქართველოს უმთავრესი ქალაქები და სიძველენი.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატში

— **ბამბის დამზადება.** საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო სპარსეთის ბამბის მსხვილ მწარმოებლებთან 500.000 ფუთი საუკეთესო ღირსების ბამბის დაზღვევის შესახებ.

მიწად მოქმედების კომისარიატში.

— **დახმარება უმწეო ბავშვებს.** მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასცა საბავშვო სახლების სამმართველოს უმწეო ბავშვთა შორის გასანაწილებლად 20 ფუთი კონსერვი, შეკერილი ტანთსაცმელი და ფართლეულობა.

შრომის ბირჟაში.

უმუშევრები. 16 ივნისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 470 უმუშევარი. ჩაეწერა იმავე დღეს ახალი უმუშევრები—113. გაიგზავნა სამუშაოზე—53.

სხვა და სხვა.

— **მისალმებელი დეპეშა ამხ. მიხა ცხაკაიას და ფ. მახარაძეს მეცხვარეთა ყრილობისაგან.** ბორჩალოს, ტფილისის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში დაბინავებულ მომთაბარე მეცხვარეთა ყრილობამ, რომელიც გაიმართა ქალაქ ახალქალაქში 10 ივნისს მეცხვარეთაგან წარმოგზავნილ 150 დელეგატის მონაწილეობით მქუხარე ტაშის ცემით და ერთსულოვანი ძახილით: „გაუმარჯოს ჩვენს მოხუცებს" ერთხმად დაადგინა მოგიძღვნათ თქვენ საპატიო მწყემსების სახელი და გისურვოთ ჯანმრთელობის დაუშრეტელი ენერგია მთელ მსოფლიოში საბჭოთა ძალაუფლების განსამტკიცებლად. ყრილობა სდებს ფიცს, რომ თქვენი აღთქმანი წმინდათ გადაეცემა მწყემსთა თავშესაფარ თვალწარმტაც მთებიდან ერთი თაობიდან შემდეგ თაობას.

ყრილობის პრეზიდიუმი.

— **გორის აღსადგენათ.** გორის აღმდგენ მთავარ-კომიტეტმა დღემდე მიიღო შემოწირულების სახით 2600 მანეთი ოქროთი, 340 მილიონი მანეთი ამ.-კავკ. ბონების და 5 ათასი მანეთის ოქროთი სხვადასხვა ხე-ტყის მასალა. შემოწირულების მიღება გრძელდება.

ხელოვნება

ოპერა „იოლანტა" ჩაიკოვსკისა და 4 მოქმედება ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი", შესრულებული 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიის მოწაფეთა მიერ.

საოპერო მოღვაწეობის ნოვატორთა ზოგიერთ წრეებში ის აზრია გამეფებული, რომ „ოპერა", როგორც ხელოვნება მოძველდა და მთელი სცენიური მოწყობილება ეხლა უსარგებლო ტრაფარეტს წარმოადგენს. არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია ამას დავეთანხმო. დეე ოპერა იყოს ხელოვნების მრავალ სახიანობა, სადაც პირობით მოვლენებს უჭირავთ გადამწყვეტი ადგილი. მართლადაც—მიდის მოქმედება, ხალხი სცენაზე სცოცხლობს, უხარია, იტანჯება, უყვარს, ერთმანეთს უზიარებს თავის აზრებს და იმის მაგივრად რომ ილაპარაკონ... მღერიან.

A priori ეს, რასაკვირველია, უცნაურია. საოპერო ხელოვნებაზე დაწერილ სატირის ავტორმა—ვაუმპულიმ თავის საკმაოდ ენამოსწრებულ სატირაში დასცინა საოპერო სცენარიუმს. მაგრამ მას ერთი რამ დაავიწყდა, სახელდობრ ის, რომ გადამწყვეტი ადგილი ოპერაში—ეს მისი მუსიკალური მხარე, მუსიკალური მოწყობილება, ჰარმონიული სილამაზე, დიალოგი და ensemdle-ს და არა შინაარსი. მხოლოდ უკანასკნელ დროში გენიალურ ვაგნერის შემოქმედებაში ოპერამ მიიღო მუსიკალური დრამის ხასიათი. ეს მიმართულება სჭარბობს ვერისტების სკოლაში Weritas—სიმართლე), რომლის წარმომადგენლებია პუჩინი, ჯორდანო, ლეონკოვალო, ზიგფრიდი, შტრაუსი, —აქ მუსიკა ასურათებს მოქმედებას. მაგრამ განა ამიტომ უფრო ნაკლები ღირებულებისაა საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნების, მეირბერის, სენ-სონის, მასსენეს და ვერდის ოპერები, განა ამიტომ ნაკლები ღირებულებისაა კლასიკების გენდელის, გამოკის, როსსინის, ბელლინის ოპერები, განა უფრო ნაკლები ღირსებისაა გლინკისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები? აქ სჭარბობს მელოდია და ორკესტრი. აი ავიღოთ თუ გინდ ჩაიკოვსკის „იოლანტა". ეს დასრულებული ნაწარმოებია, როგორც მუსიკალურის, ისე ლიტერატურულ სილამაზისა და სცენიური მოქმედების მხრივ. ჩაიკოვსკი აქ წავიდა მელოდიისა და რეალიზმის თანამშრომლობის ახალ თავისებურ გზით, მაგრამ სრულებით ვერ წარმომიდგენია მე ეს ოპერა უსცენარიუმოთ და უმოქმედოთ. რადგან იკარგება ოპერის პოეტურ და ლირიულ შინაარსის მთელი სილამაზე, გაუგებარია დიალოგები, რეპლიკები. არ არსებობს ოპერა უსცენოდ,—ეს ოპერა კი არა კონცერტი იქნება, სადაც ყველა ნომრები არ არის საინტერესო, რადგან ის ნომრები, რომლებიც კარგებია ოპერაში სცენაზე, მოსაწყენი და ხშირად სასაცილოა საკონცერტო შესრულებაში.

თუ ოპერა „იოლანტას" დადგმას მივიღებთ, როგორც საგამომცდელო ვარჯიშობას, მაშინ ასეთ დადგმას აქვს გამართლება, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ დაედგათ ისე, როგორც წარსულ წლებში—მთელი ოპერა თეატრალურ სცენაზე, რადგან ყველა ამსრულებლები მშვენივრად მოერევოდენ თავთავიანთ პარტიებს დიდ სცენაზეც.

შემსრულებელთაგან ავღნიშნავ მოწაფე ქალებს სოგომონოვისას (იოლანტა), რუდენკოს (მარტა), მოწაფე რეგენკამპფს (მავრიტანიის ექიმი ებნხოკია) და ქაშაკაშვილს (რობერტი). დანარჩენი შემსრულებელნი ხელს უწყობდენ ensemdle-ს.

„აბესალომ და ეთერის" შემსრულებელთაგან ავღნიშნავ მოწაფე ქალს მამამთავრიშვილს (ეთერი), ბეჟანოვისას (მარეხი), ირინას (ნათელა) და მურმანს (ქაშაკაშვილი)

საერთოდ ყველა შემსრულებლებმა დასძლიეს ოპერის ძნელი (tempo ს გამო, რომელიც ხმის ტეხნიკასა და მაღალ ტესსიტურას მოითხოვს) ensemdle.

მუსიკოსი.

— **დახმარება აკაკი ფალავას სტუდიას.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა აკაკი ფალავას დრამატიულ სტუდიას დახმარების სახით მიეცეს 250 მილიონი მან.

— **აკადემიურ თეატრების შესახებ.** სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით დაარსდა საგანგებო კომისია ამხ. დ. კანდელაკის, ყურულაშვილის, ბიბინეიშვილის და გენკინის შემადგენლობით, კომისიის მიზანია სახელმწიფო აკადემიურ თეატრების მმართველობის საქმეებში ზოგიერთი ცვლილებების შეტანა და ხარჯთ-აღრიცხვის წინასწარ განხილვა.

— **ქართველი ახალგაზრდა მომღერლების საღამო.** დღეს, 12 ივნისს რუსთაველის თეატრში გაიმართება სახ. მეორე კონსერვატორიის ქართველ მომღერლების საღამო. დადგმული იქნება ადგილები ოპერებიდან კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **„ვეფხვის ტყაოსანი" სცენაზე.** რუსთაველის რეჟისორთა კოლეგიას განზრახვა აქვს მომავალ სეზონში დასდგას რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსანი" რამდენიმე ნაწილათ. პოემის გადაკეთება მიენდო საგანგებო კომისიას.

— **ბლოკის „თორმეტი" ქართულად.** ვალერიან გაფრინდაშვილმა გადათარგმნა ბლოკის „თორმეტი" და „სკიფები". აღნიშნული თარგმანები გამოვა ცალკე წიგნებათ.

— **სანდრო ცირეკიძის ნეშტის დაკრძალვა** დღეს ნიკოლოზის სასაფლაოზე მოხდება პოეტი სანდრო ცირეკიძის ნეშტის დაკრძალვა

— **პეტროგრადის მარინეს თეატრის მსახიობნი ტფილისში.** ახლო ხანში ტფილისში ჩამოვიდენ პეტროგრადის მარინეს თეატრის მსახიობნი, რომლებიც რუსთაველის თეატრში გამართავენ რამდენიმე გასტროლს.

პროვინციაში

სურამის თემი.

13 ივნისს, ნაშუადღევს 2 საათზე სურამის თემის გლეხობას არაჩვეულებრივმა სეტყვამ დიდი ზიანი მიაყენა. სეტყვა განუწყვეტლივ გაგრძელდა 10-15 წუთამდე, მან გაანადგურა ნათესი ჭირნახული, ვენახები, ბაღები და ყოველი ჯიშის ხეხილი. დაზარალებულია შემდეგი სოფლები: სოფ. ზეკოტა, ცივწყარო, წაბლოვანა, ურთხუა, ომისი, ბიჯნისი და ცედისი. სივრცე დაზარალებულ ნათესობის და ბაღ-ვენახისა დაახლოებით უდრის 700 დღიურს.

ნ. გოგოლაძე.

ნიგოითის თემი (ოზურგეთის მაზრა).

ნიგოითის თემი შეადგენს ოზურგეთის მაზრის ნაწილს და მდებარეობს ნიგოითის მთის ძირში, ჩრდილოეთ მხარეზე, რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ 6-7 ვერსის სიგრძეზე. ეს თემი შედის ლანჩხუთის რაიონში, შესდგება 6 სოფლისაგან, კომლთა საერთო რიცხვი უდრის 70-ს აქაური მოსახლეობა უმთავრესად მისდევს მიწის დამუშავებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ადგილობრივმა ხელისუფლება ფართე მასსის დახმარებით შეუდგა თემში აღმშენებლობითი მუშაობას.

მიქცეულ იქნა ყურადღება იმ ღელეთა კალაპოტებზე, რომლებიც ჩამომდინარეობენ ნიგოითის მთის კალთებიდან და მიიმართებიან რკინის გზის გაღმა საყანე ადგილებისაკენ. ეს ღელეები, მათი არა სათანადო მიმართულებისა გამო, დიდ ზიანს აყენებდნენ მცხოვრებთ, გადადიოდენ ნაპირებიდან საყანეთ გამოსადეგ ადგილებში, რის გამო ბევრი საუკეთესო ადგილები ჭაობდებოდა და უვარგისდებოდა. ამ საქმის მოსაგვარებლად იქნა ჩატარებული საერთო სამუშაოები მცხოვრებთა მიერ. თემში მრავალ ადგილზე ღელეების კალაპოტები იქნა გაკეთებული და მიეცა მათ სათანადო მიმართულება, რის შემწეობითაც რამოდენიმე საყანე ადგილები გაშრა. აგრეთვე გაფართოებულ და შეკეთებულ იქნა მთავარი გზები მთელ თემში. წინანდელ მიხვეულ-მოხვეულ გზის ნაცვლად, სადაც ზოგ ადგილას სივიწროვის გამო გავლაც შეუძლებელი იყო, დღეს მიიმართება ფართო გზა. თემში არსებობს ოთხი 4 წლიანი შრ. სკოლა და ერთი 8 წლ. საკუთარი შენობებით. საბჭოთა ხელისუფლებას სკოლები დაპარტახებული დახვდა—ფანჯრები, კარები და პარტერ დამტვრეული, რის გამოც თავდაპირველად შეუძლებელს ხდიდა ნორმალურ მეცადინეობას სკოლებში. შეკეთებულ იქნა ყველა სკოლის შენობები, რის გამო სწავლა ამ წელს არ ფერხდებოდა.

თემში არსებობდა ოთხი ეკლესია. 1923 წ. აპრილის თვეში ნიგოითის თემის საზოგადო კრებამ დაადგინა მათი გაუქმება და კულტურულ განმანათლებელ მიზნისათვის გამოყენება. ხალხის თანადასწრებით იქნა მოხსნილი ჯვრები და მათ მაგიერ აფრიალდა წითელი დროშები. შიგ მოეწყო სცენა წარმოდგენისათვის და სისტემატიურად იმართება წარმოდგენები ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ.

ნიგოითის თემში არსებობს დიდი ჭაობი სახელწოდებით „ნარიონავი". როგორც სახელწოდებიდანაც სჩანს, აქ ძველად მიმდინარეობდა მდინარე რიონი, შემდეგ რიონმა იცვალა მიმართულება; ამის შემდეგ აქ, ძველ კალაპოტში არის დაგუბული ზამთრიან-ზაფხულიანად წყალი, იზრდება შიგ ჭაობის მცენარე, ზაფხულობით ლპება, აჩენს სიდამპლის სუნს და ავრცელებს ციებ-ცხელებას. მთელი ნიგოითის თემის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ამ სენითაა დაავადებული. ამ მდგომარეობის უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელი იყო. თემის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ცენტრალურ მთავრობის წინაშე, რათა ამ საქმისათვის გამოეგზავნა მცოდნე პირი, თუ როგორ შეიძლებოდა ამ ჭაობის ამოშრობა. აქვე აღსანიშნავია, რომ ძველი მთავრობის დროს ხდებოდა ამ ჭაობის დათვალიერება ვითომდა ამოსაშრობად, მაგრამ ამ საქმემ მაშინ ჩაილურის წყალი დალია. მართლადაც, ვის აწუხებდა მაშინ ხალხის ჭირვარამი. მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ მიიღო ხალხის შუამდგომლობა და გამოგზავნა მცოდნე პირი, რომელმაც შეადგინა გეგმა მუშაობისა. ხალხი დიდად დაინტერესებულია ამ ჭაობის ამოშრობაში და კიდევაც თავგამოდებით მუშაობს. მან უნდა შეასრულოს მთელი მიწის სამუშაო, რომელიც საჭიროა ამ ჭაობის ამოშრობისათვის, ეს სამუშაო უნდა მოთავდეს ამ ზაფხულზედ ახლო მომავალში.

შოთა კალანდარიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

წესები

გადასახადის გადახდევინებისა ტვირთზიდვის ხელობაზე ქალაქებში და ქალაქის გარეთა ადგილებში.

ა. | კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა. | კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი 1923 წ. აპრილის 26 თარიღით, განყოფილება-2, თავი-3, მუხლი-6, პუნქტი-6 (ქალაქებში) და პუნქტი-5 (ქალაქ გარეთა ადგილებში.)

1. ტვირთზიდვის ხელობაზე დაწესებული გადასახადი უნდა შეეწეროს ყველა პირს, დაწესებულებას და წარმოებას როგორც კერძოს, ისე სახელმწიფოებრივს, რომელნიც ხსენებულ ხელობას მისდევენ.

2. გადასახადი უნდა გადახდეს თვითეულ ცხენზე, ან სხვა ოთხფეხზე, რომელნიც ჩაბმულია ტვირთზიდვაში (სახედრები, ხარები, კამბეჩები, აქლემები და სხვა) ყოველ ნახევარ წელში.

3. გადასახადის რაოდენობა სეზონში არ უნდა აღემატებოდეს: ქალაქებში—1.500.000 მანეთს და ქალაქ გარეთა ადგილებში—500.000 მანეთს ტვირთზიდვაზე მომუშავე თითეულ ცხენზე, ან სხვა პირუტყვზე (მუხლი მე-2).

შენიშვნა: სეზონი ექვს თვეს არ უნდა აღემატებოდეს. სეზონის დაწყებისა და დასრულების ვადებს აწესებენ ადგილობრივი აღმასკომები ადგილობრივ პირობათა მიხედვით.

4. აღმასკომებს უფლება ეძლევათ, თუ ამას ისინი საჭიროდ დაინახავენ, ტვირთმზიდველნი-მრეწველნი ჯგუფებად დაჰყონ და თვითეულ ჯგუფისათვის გადასახადის ცალკე რაოდენობა დააწესონ, ხოლო არა უმეტესი ამა წესების მე-3 მუხლით განსაზღვრულ რაოდენობისა; აგრეთვე უფლება აქვთ დააწესონ გადასახადის აკრების წესები და საშუალებანი.

5. გადასახადის რაოდენობა და გადახდის ვადა, რომელსაც აღმასკომები აწესებენ, გამოცხადებულ უნდა იქმნას საყოველთაო გასაგებად არა უგვიანეს ერთის თვისა გადასახადის შეტანის ვადამდე.

შენიშვნა: იმ ცხენისა და სხვა პირუტყვისათვის, რომელიც ტვირთზიდვაში ჩაბმული იქნება გადასახადის შეტანის ვადის გასვლის შემდეგ, გადასახადი შეტანილ უნდა იქმნას ერთის თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ცხენი, ან სხვა პირუტყვი ჩაბმულ იქმნა ტვირთზიდვაში.

6. გადასახადი აკრებილ უნდა იქმნას იმ აღმასკომის სასარგებლოდ, სადაც გადამხდელს აქვს ტვირთზიდვის ხელობის დაწესებულება და თუ ეს უკანასკნელი არ აქვს, მაშინ იქ, სადაც მას აქვს საოჯახო მეურნეობა, თუ გინდაც იგი ამ ხელობას აწარმოებდეს სხვა ადგილას.

7. გადამხდელებმა გადასახადი აღმასკომების კასებში უნდა შეიტ წინ.

8. გადასახადის შეტანის დროს გადამხდელს უნდა მიეცეს დაწესებულ ფორმის ქვითარი და ნომრის ნიშანი ურმის, ან საბარგო ეტლის თვალსაჩინო ადგილას მისაკერებლად.

შენიშვნა: აღმასკომებს უფლება ეძლევათ, რომ გადასახადის გარდა გადაახდევინონ იმდენი ფული, რამდენიც დაუჯდათ ამ ნიშნების დამზადება.

9. დაწესებულ ვადაზე შეუტანელი გადასახადის ჯამი ნარჩენად უნდა ჩაითვალოს და გადახდევინებულ უნდა იქმნეს უდავო წესით საურავის ზედშეწერით და გადახდევინების იძულებით ზომების მიღებით, თანახმად საფუძველთა, რომელიც დაწესებულია ა. | კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და ა. | კ. სახალხო კომისართა საბჭოს დებულებით გადასახადებისა და ხარკების გადახდევინების შესახებ და ინსტრუქციით ამ დებულების განხორციელების შესახებ.

10. ვადის გაგრძელება, გადასახადის ნაწილობრივად შეტანის ნების მიცემა, პატიება და გადახდევინებულ ფულის უკან დაბრუნება სწარმოებს საერთო საფუძვლით, რომელიც დაწესებულია ადგილობრივის გადასახადებისა და ხარკებისათვის.

ა. | კ. ფინანსთა სახ. კომისარი:
თუმანოვი.

ა. | კ. ფინანსთა სახ. კომის. კოლეგიის
წევრი: ერქომაიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის გასატარებლად მობილიზაციით იწვევს შემდეგ ამხანაგებს: 1. ერქომაიშვილს. 2. ანშილევიჩს, 3. ძაგანიას, 4. კანდელაკს, 5. მუს. ისმაილოვს, 6. ტოროშელიძეს, 7. ერისთოვს. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები ვალდებული არიან გამოცხადდენ ოთხშაბათს, 20 ივნისს, დღის 2 საათზე ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში სათანადო დირექტივების მისაღებად.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.
სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ესენი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის IV რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 20 ივნისს, დღის 12 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება

IV რაიონის პოლიტიკურ წრეების მამასახლისების თათბირი-

დასწრება ყველა მამასახლისების და ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების, რომელნიც მობილიზაციის წესით მოწვეულნი არიან პოლიტიკურ წრეების მუშაობის გასაინჯავად, სავალდებულოა. 1) სურევენკოვი, 2) ალავერდიანი, 3) კასიანი, 4) ფროლოვი, 5) დუდუჩავა, 6) ელისაბედაშვილი, 7) ნოვიკოვი, 8) ტაკოევი, 9) სურხატიანი, 10) ხანოიანი, 11) ორახელაშვილი მარია.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე. არუსტანოვი.

— სამშაბათს, 19 ივნისს, შუადღის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგ. განყოფილების ბინაზე გაიმართება

სააგიტ. საპროპაგ. კოლეგიის სხდომა.

დღის წესრიგში: 1) პროფკავშირთა საბჭოს კულტ.-განყოფილების [illegible] ნება, 2) ამხ. დვორიანოვის მოხსენება ტფილისის გარნიზონის პოლიტ.-მუშაობის შესახებ, 3) საზაფხულო მუშაობის გეგმის შესახებ. საკითხების დიდმნიშვნელობის [illegible] ლასათვის დასწრება სავალდებულოა. მოწვეულნი არიან: საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ. განყოფილების გამგე, ტფილისის გარნიზონის საიდუმლო ნაწილის უფროსი ახალგაზრდათა კომკავშ.-რის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფ. გამგე, ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე ქართული დივიზიის პოლიტიკ. განყოფილების უფროსი, რაიკომების სააგიტ.-საპროპ. განყოფილებათა გამგენი.

**ტფილისის კომიტ. სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილების გამგე
გ. ესსენი.**

კომუნისტურ სტუდენტობის ცენტრალური ბიურო წინადადებას აძლევს მუშათა ფაკულტეტებისა და უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს საქართველოს კომპარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის წევრებსა და კანდიდატებს, რომელნიც დაბადებულნი არიან 1901 წელში, გამოცხადდენ ცენტრალურ ბიუროში რეგისტრაციისათვის. ამ განკარგულების შეუსრულებლობისათვის, დამნაშავეთ მისჯილი ექნებათ სასტიკი პარტიული სასჯელი. რეგისტრაცია იწარმოებს ორშაბათიდან დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდი ცენტრალურ ბიუროს ტეხნიკურ მდივანთან. კომუნისტურ სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ სტეპანოვი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი
წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომში ა. წ. 19 ივნისამდე ერთიან პარტიულ ბილეთების მისაღებად:
1. დუბენსკი მიხეილ, 2. ნინაშვილი შალვა, 3. ტყეშელაძე ალექს., 4. სალარიძე ალექსანდრე, 5. ხარაბაძე სამსონ, 6. ჯიბლაძე ლავრენტი. 7. თარხანოვი სერგეი, 8. ცაგარელი ალექსანდრე, 9. ნადირაძე ბესარიონ, 10. კუჩეროვი ალექსი, 11. სმირნოვა ნინა, 12. ელისაბედაშვილი გიორგი, 13. მკრტიჩიანი ალექს., 14. ლაჩინიანი არამ, 15. თუშიშვილი ნიკოლოზ, 16. ლეინი ვიქტორ, 17. კარმანოვი ფერუხ, 18. ბორიანი-ქავთარაძე ოფელია, 19. ბზეკალავა ალექსანდრე, 20. ზაქარაშვილი გიორგი.
დროზე არ გამოცხადებულ ამხანაგების პარტიული ბილეთები გაგზავნილი იქნება საქართველოს კომპარტიის ცეკაში.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— მეორე რაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე მე-2 რაიკომის შენობაში (მიხაილოვის პრ. № 96) მოწვეულია

პოლიტიკური წრეების ხელმძღვანელების და მამასახლისების თათბირი

სავალდებულოა ყველას გამოცხადება.

საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი.

— ცნობად და შესასრულებლად ცხადდება შემდეგი: საქართველოს კომპარტიის წევრები I და II რიგის მოსაწვევი ყოფილი ოფიცრები, უნტერ-ოფიცრები, კომანდების უფროსები, წითელი კომანდირები და სამეურნეო ნაწილის გამგეები უნდა გამოცხადდენ განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების შტაბში და მათზე დანიშნულ კომისიას უნდა ჩააბარონ გამოცდები სამხედრო საქმის ცოდნაში და შესაფერი ატესტაცია მიიღონ სამილიციო საკომანდო შემადგენლობის რომელიმე თანამდებობისათვის.

დასახელებული პირები უნდა გამოცხადდენ 20 ივნისიდან 23 ივნისამდე (თანდართვით) საღამოს 5 საათიდან დილის 9 საათამდი, 24 ივნისიდან 1 ივლისამდი დილის 8 საათიდან დღის 12 საათამდი.

გამოცდები იწარმოებს განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების შტაბთან. კარლმარქსის მოედანი № 2.

განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების უფროსი კვიტაშვილი.

განცხადებანი

სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ ტფილისში 14 ივნისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავშირის წევრი

სანდრო ცირეკიძე

დაკრძალვა მოხდება დღეს, 19 ივნისს ნიკოლოზის (ვერის) სასაფლაოზე.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე **აკაკი ვასილის ძე ნიშნიანიძე შვილებით: ქეთო, ოთარი და ნინუ. დედა ნინა ანტონის ასული ყიფშიძისა,** დედამთილი **ტროფიმე,** მამამთილი **ვასილი,** მაზლი **მარტიონ ნიშნიანიძეები,** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 17 ივნისს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ვერა გიორგის ასული ნიშნიანიძისა.

რომლის გამოსვენება დანიშნულია ა. წ. 20 ივნისს დღით ოთხშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე—საკუთარი ბინიდან არტილერიის ქუჩა № ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათზ

835 1—1

გულდამწვარი და **სოფიკო—სიძე ალექსანდრე გაფრინდაშვილები,** აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 17 ივნისს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი, პირველის და და მეორესი ცოლის და

ვერა გიორგის ასული ნიშნიანიძისა.

რომლის გამოსვენება დანიშნულია ა. წ. 20 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე—არტილერიის ქუჩიდან № 9 და დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

836 1—1

თბილისის დამზღვევი კასა

ამით აცნობებს ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობათ, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტებს და იმ წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაციებს, რომელნიც დაქირავებულ შრომით სარგებლობენ, რომ ივნისის 20-დან კასა დაიწყებს

დაზღვევის წიგნაკების დარიგებას

ყველა დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებისათვის. წიგნაკების მისაღებად აუცილებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 5 ივლისისა ადმინისტრაციის და ადგილკომის მიერ შემოწმებული სია თანამშრომელთა და მათ კმაყოფაზე მყოფ ოჯახის შემდეგი წევრების: არა სრულწლოვანი შვილების, დების და ძმების 16 წლამდე შრომის უნარ-მოკლებულ მშობლების და ჩამოთვლილ ოჯახის იმ წევრების, რომელნიც თუმცა შრომის უნარიანია, მაგრამ ჰყავთ ბავშვები 8 წლის ჰასაკამდე. **წიგნაკები გაიცემა უფასოდ.** გაცემისათანავე განემარტებათ წესი წიგნაკების შევსების შესახებ.

წიგნაკების მიღება სავალდებულოა.

ვისაც 20 ივლისიდან წიგნაკები ხელთ არ ექნებათ, კარგავენ უფლებას სოციალური დაზღვევის ყოველგვარი სახით სარგებლობისა.

3—3

თბილისის დამზღვევი კასის პრეზიდიუმი.

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ.
კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 788 25—8

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალოს აწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25 3

დავკარგე მოწმობა, გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის სტუდენტ გიორგი გოგოსაშვილის სახელობაზედ 22 მარტს 1923 წ. ჩაითვალოს გაუქმებულა
839

დავკარგე პასპორტი ანეტა დადიანის სახელზე. ჩაით
გაუქმებულად.
837

დავკარგე საწევრო კვიტანცია № 56 თბილისის თვი
მელთა დამხმარე საზოგადოების ხელოსანთა
სა ევგენია აბრამის ასული იზრაილოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუ

ტ. „ზარია ვოსტოკა-ს" სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.